ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 7 ნოემბერი, 2016 №264 (7189) ფასი: 50 თეთრი

## სანდრო კაკულიას ძმა წავკისში გარდაცვლილი იპოვეს

გვ.7



# დედის სასტიკი მკვლელობა და უცნობი ფაქტები




გვ.7

„ყველაფერი ორი წლის წინ დაიწყო“

## პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე იქნება



პირველი მოადგილე – თამარ ჩუგოშვილი, მოადგილეები – გია ვოლსკი, ზვიად ძიძიგური და ილია ნაკაშიძე

„ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო თანამდებობები ბოლომდე ვერ გადაინაწილა



გვ.2

## „სააკაშვილი დარჩება ნაცმოძრაობაში და რუს ოლიგარქ ივანიშვილს დაამარცხებს“





მეგი გოცირიძე: „ჩატარდეს გაფართოებული ყრილობა და ნახავთ, ვისაც აირჩევენ ლიდერად“

გვ.3



## „უსუფაშვილისთვის მთავარია, რომ ქალბატონი თინა არ მიატოვებს“

პეტრე მამრაძე: „ჩვენთან პარტიები არ არსებობს“

გვ.5



გვ.4

## მირიან მირიანაშვილი: „დავით ბაქრაძე სიმბოლური თავმჯდომარე იქნება“



გვ.6

## დემურ გიორხელიძე: „ეროვნული ბანკის პოლიტიკა გაუგონარია“

ISSN 1987-9385



## რაში იღებს კახეთის საოლქო პროკურორი პრეზიდენტსა და პრემიერზე ბევრად მაღალ გასამრჯელოს

გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე იქნება

## პირველი მოადგილე – თამარ ჩუგოშვილი, მოადგილეები – გია ვოლსკი, ზვიად ძიძიგური და ილია ნაკაშიძე

შორენა მარსაგიშვილი

დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო თანამდებობები, როგორც იქნა, გადაინაწილა, თუმცა ყველა თანამდებობა ვერ გაიყვეს და ამ საკითხზე შეკრება კიდევ მოუწევთ.

კაჭრეთის ამბასადორში ორდღიანი თავყრილობის შემდეგ პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომა და გაფართოებული შეხვედრა გამართეს, სადაც საპარლამენტო კანდიდატურებზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს.



პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი იქნება „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი იქნება. მისი კანდიდატურა სპიკერის პოსტზეც იყო წარდგენილი, მაგრამ მან ამაზე უარი თქვა.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები იქნებიან გია ვოლსკი, ზვიად ძიძიგური და ილია ნაკაშიძე.

ირაკლი კობახიძეს კიდევ 2 მოადგილე ეყოლება, ერთი – ნაცმოძრაობიდან, ერთიც – პატრიოტთა ალიანსიდან. ალიანსი ამ თანამდებობაზე ირმა ინაშვილს წარადგენს, ნაციონალებმა კი ვიცესპიკერის კანდიდატურის შესარჩევად ჯერ ვერ მოიცალეს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, როგორც უკვე ვწერდით, იქნება არჩილ თალაკვაძე. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტზე მამუკა მდინარაძეა წარდგენილი. მისი მოადგილე დიმიტრი სამხარაძე იქნება.

„ქართული ოცნების“ წიაღში კიდევ რამდენიმე ფრაქცია შეიქმნება. ამბობენ, რომ ეს ფრაქციები მაჟორიტარებისგან იქნება დაკომპლექტებული. მათ კახა ოქრიაშვილი და ზაქარია ქუცნაშვილი უხელმძღვანელებენ. „ქართული ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ქუცნაშვილს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეობა სურდა და, რადგან ეს სურვილი ვერ აუსრულეს, ფრაქცია შესთავაზეს.

საინტერესოა, როგორ შეძლებს ქუცნაშვილი, ერთდროულად იყოს 3 რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და ფრაქციასაც უხელმძღვანელოს.

კახა ოქრიაშვილმა თავად მოძებნა თანამოაზრეთა გუნდი, რომლებთანაც ფრაქციის შექმნას აპირებს. თუ ზევიდან თანხმობა იქნა, ოქრიაშვილი ფრაქციას შექმნის. საქართველოს პარლამენტში ფრაქციის შესაქმნელად 6 კაცია საჭირო.

დიდი დავა და ინტრიგები მოჰყვა საპარლამენტო კომიტეტების გადანაწილებას.

აგრარულ საკითხთა კომიტეტს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ოთარ დანელია უხელმძღვანელებს, პირველი მოადგილე – გელა სამხარაული, მოადგილე კი ირაკლი შიოლაშვილი იქნება.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეობაზე თვალი გუგული მაღრაძეს ეჭირა. გამოცდილ დეპუტატს გული რომ არ დასწყვეტოდა, ამ კომიტეტის თავმჯდომარის ჩვეულებრივი მოადგილეობა არგუნეს, თავმჯდომარე კი პარტიის ახალი სახე მარიამ ჯაში იქნება.

მისი კანდიდატურა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზეც მოიაზრებოდა, მაგრამ ბოლოს განათლება შეურჩიეს. თავმჯდომარის პირველი მოადგილე ასევე ახალი სახე გენადი მარგველაშვილი იქნება.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეობაზე, როგორც ამბობენ, პრეტენზია მწვანეთა პარტიის ლიდერ გია გაჩეჩილაძესაც ჰქონდა, მაგრამ მწვანე გიას კანდიდატურა არც კი განუხილავთ. აღნიშნული კომიტეტის „ვერხუშკა“ პარტიის ახალი სახეებით დაკომპლექტდება. კომიტეტს კახა კუჭავა უხელმძღვანელებს, პირველი მოადგილე ზაზა ხუციშვილი იქნება, მოადგილე კი – ენძელა მაჭავარიანი.

ახალი სახეებით დაკომპლექტდება დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი. როგორც ამბობენ, აქ მოხვედრა კახა ოქრიაშვილსაც სურდა, მაგრად ზემოთ სხვანაირად გადაწყვიტეს. კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია იქნება, პირველი მოადგილე

### „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო თანამდებობები ბოლომდე ვერ გადაინაწილა

– გიორგი ბეგაძე, მოადგილე – რევაზ არველაძე.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტს გამოცდილი მეოცნებე ზვიად კვაჭანტირაძე უხელმძღვანელებს. 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში მას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პოსტი ეკავა. მან რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ პრემიერმა ძალიან საინტერესო თანამდებობა შესთავაზა.

კვაჭანტირაძის პირველი მოადგილე დამოუკიდებელი, მაგრამ „ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი იქნება, მოადგილედ კი ირაკლი მეზურნიშვილს წარადგენენ.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტიც ახალი სახეებით იქნება დაკომპლექტებული. კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა იქნება, პირველი მოადგილე – ირინა ფრუიძე, მოადგილე – ბექა ნაცვლიშვილი.

დიდი ამბები იყო თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტზეც. მავანს ამ თანამდებობაზე თურმე ირაკლი სესიაშვილის ხილვა აღარ სურდა, მაგრამ ბოლოს ფორტუნა მის მხარეს შებრუნდა.

შესაბამისად, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს კვლავ ირაკლი სესიაშვილი უხელმძღვანელებს, პირველი მოადგილე ირაკლი ბერაია იქნება, მოადგილე კი – კობა კობალაძე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე თვალი ზაქარია ქუცნაშვილს ეჭირა, მაგრამ ეს პოსტი ეკა ბესელიას არგუნეს. მას ჯერ ისევ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი უკავია.

ახალ კომიტეტში მისი პირველი მოადგილე ვანო ზარდიაშვილი იქნება, მოადგილე კი –





დავით მათიკაშვილი.

ახალი სახეების სიმრავლეა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტშიც. თავიდან ეს პოსტი ირაკლი ტრიპოლსკისთვის უნდოდათ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს.

კომიტეტის თავმჯდომარეობა გიორგი ლილუაშვილს ერგო. ის ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზეც მოიაზრებოდა. პარლამენტში მისი პირველი მოადგილე მერაბ ქვარაია იქნება, მოადგილე კი – კობა ლურსმანაშვილი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტშიც ბევრი ახალი სახე იქნება. კომიტეტს სოფო ქაცარავა უხელმძღვანელებს, პირველი მოადგილე ნინო გოგუაძე იქნება, მოადგილედ დიმიტრი ცქიტიშვილია წარდგენილი.

ძველი თავმჯდომარე ეყოლება საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს. ამ პოსტს ისევ გიორგი კახიანი დაიკავებს, პირველი მოადგილე – გურამ მაჭარაშვილი, მოადგილე კი შალვა კიკნაველიძე იქნებიან.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ირაკლი კოვზანაძე უხელმძღვანელებს. მისი პირველი მოადგილე პაატა კვიჟინაძე იქნება, ხოლო მოადგილე – ირაკლი ბერაია.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეობა დიმიტრი ხუნდაძეს სურდა. ივანიშვილის ოჯახთან დაახლოებულ ექიმს მხოლოდ პირველი მოადგილეობა შეხვდა, აქ თავმჯდომარე აკაკი ზოიძე იქნება. ლევან კობერიძე მოადგილის თანამდებობას დაიკავებს.

კონსულტაციებისა და დიდი ნერვიულობის მიუხედავად, 2 კომიტეტი მაინც აუთვისებელი დარჩათ.

სპორტისა და ახალგაზრდობის, აგრეთვე ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეების შესახებ გადაწყვეტილება მოგვიანებით იქნება მიღებული.

# გიორგი კვირიკაშვილი ჯოზეფ ბაიდენს ტელეფონით ესაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

ჯო ბაიდენმა საქართველოში ჩატარებული, დემოკრატიული, საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა და პრემიერ-მინისტრსა და მის პოლიტიკურ გუნდს გამარჯვება მიულოცა.

ლიდერების შეფასებით, „ქართული ოცნების“ უმრავლესობით გამარჯვება მთავრობისთვის რეფორმების გაგრძელების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა.

ამერიკის ვიცეპრეზიდენტმა ხაზი გაუსვა რეგიონში საქართველოს დემოკრატიულ წინსვლას.

საუბარი ასევე შეეხო საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობისა და სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აშშ-ის მხარ-



დაჭერას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და ჯოზეფ ბაიდენს მადლობა გადაუხადა.

ჯოზეფ ბაიდენმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფებების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების რატიფიკაცია დაგმო და გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი აშშ-ის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

მედიანიუსი

# ნაცმოძრაობა არჩევნების შედეგების შესაფასებლად სპეციალურ ჯგუფს ქმნის

ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, სპეციალური ჯგუფი შეიქმნება, რომელიც პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას, არჩევნებსა და მის შედეგებს შეაფასებს.

ასევე გადაწყდა კიდევ ერთი ჯგუფის შექმნა, რომელიც პარტიის ყრილობის საორგანიზაციო საკითხებზე იმუშავებს.



ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭო განცხადების ტექსტზეც შეთანხმდა, რომელიც პარტიის ოფიციალურ გვერდზე აიტვირთა.

ასევე, პარტიამ გადაწყვეტილება მიიღო მარნეულში, ნაციონალური მოძრაობის ორგანიზაციის რამოდენიმე წევრის გარიცხვის შესახებ.

– პოლიტსაბჭომ დაავალა სამდივნოს, შეიქმნას ჯგუფი, რომელიც გააკეთებს ჩვენი საარჩევნო კამპანიის ანალიზსა და შემდეგ შეფასებას. ჩვენ ყრილობისთვის ვემზადებით და შეიქმნება ჯგუფი, რომელიც მოამზადებს ყრილობისათვის წესებს, განსაზღვრავს დროს და ამას შესთავაზებს პოლიტიკურ საბჭოს, რომელიც შემდეგ დაამტკიცებს, – განუცხადა ჟურნალისტებს სერგო რატიანმა.



მისივე თქმით, ასევე იყო ერთი დისციპლინარული საკადრო საკითხი, კერძოდ, მარნეულის ორგანიზაციიდან რიგითი ადამიანების გარიცხვის შესახებ.

– მათ თავს უფლება მისცეს, რომ ეთნიკური ნიშნით ცილისწამება განეხორციელებინათ აჰმედ იმამკულიევზე, – აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

მედიანიუსი


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჭაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილი დარჩება ნაცმოძრაობაში და რუს ოლიგარქ ივანიშვილს დაამარცხებს“

## მეგი გოცირიძე: „ჩატარდეს გაფართოებული ყრილობა და ნახავთ, ვისაც აირჩევენ ლიდერად“



შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება ნაცმოძრაობაში? რამდენი დაჯგუფებაა პარტიაში, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს? ვინ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის წევრი, ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე ესაუბრება.



***– თქვენ ყოველთვის უარყოფდით ნაცმოძრაობაში არსებულ დაპირისპირებას. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შემდეგაც იმავეს იტყვით?***

– ბოლო დროს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. განსხვავებული აზრის დაფიქსირება განხეთქილებას არ ნიშნავს.

***– პარტიის ახალი თავმჯდომარის საკითხი რომ დადგა დღის წესრიგში, არც ეს ნიშნავს რამეს?***

– პარტიის თავმჯდომარის არჩევა არ არის განსაკუთრებული ტრაგედია. საქართველოს კანონმდებლობითა და პარტიის წესდებითაც პარტიის თავმჯდომარე ვერ იქნება პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქე არ არის. სამარცხვინო ივანიშვილმა სააკაშვილი ჯერ პოლიტდევნილად აქცია, ხოლო შემდეგ საქართველოს მოქალაქეობაც წაართვა.

დღეს იძულებით არის ოდესაში და იძულებულია, იყოს უკრაინის მოქალაქე, პარტიის თავმჯდომარედ კი საქართველოს მოქალაქეს აირჩევენ.

***– თქვენ ამ გადაწყვეტილებას პარტიის წესდებიდან გამომდინარე ხსნით. ამ დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ პარტიის გარკვეულმა დაჯგუფებამ სააკაშვილს ნაცმოძრაობა „აახია“. ამაზე რას იტყვით?***

– მიშა თავად არის ნაციონალური მოძრაობა და მას პარტიას ვერავინ „აახევს“. მინდა, ყველამ კარგად გაიგოს, რომ ამომრჩეველი, რომელმაც 2016 წლის არჩევნებზე 5 ნომერი შემოხაზა, მხარს, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილს უჭერდა.

***– რატომ გგონიათ, რომ მათ მხარი მაინცდამაინც მიხეილ სააკაშვილს დაუჭირეს და არა სხვა ვინმეს?***

– ჩვენმა მომხრეებმა ძალიან კარგად იციან, თუ რა შეუძლია სააკაშვილს. მათ ძალიან კარგად ახსოვთ, რომ ამ ადამიანმა საქართველო წუმპიდან ამოიყვანა და სახელმწიფოდ აქცია.

ჩვენმა მტრებმა ძალიან გაიხარეს იმ პროცესებით, რაც პარტიაში მიდის. მინდა დავამშვიდო ისინი, რაც არ უნდა მოხდეს, სააკაშვილი დარჩება ნაცმოძრაობაში და რუს ოლიგარქ ივანიშვილს დაამარცხებს.

***– იმასაც ამბობენ, რომ თანაპარტიელების ნაწილს მისი მითითებების შესრულება მოსწყინდა და ამიტომ გადაწყვიტეს მისი გადაყენება.***

– რა მითითებების შესრულება მოსწყინდათ? ამასთან დაკავშირებით რაიმე რომ თქვა, მიხეილ სააკაშვილს კარგად უნდა იცნობდე. მიშა არის ბუნებით დემოკრატი და ის თავის აზრს არავის თავზე არ ახვევდა.

***– ოდესიდან მითითებებს არ იძლეოდა?***

– ამა თუ იმ თემაზე ის საკუთარ პოზიციას აფიქსირებდა, მაგრამ არასდროს ითხოვდა, რომ მხოლოდ მისთვის დაეჭირათ მხარი. ის თავის მოსაზრებას იტყოდა, სხვები – თავისას. საბოლოო გადაწყვეტილებას პოლიტსაბჭო იღებდა.

***– ამბობენ, რომ პოლიტსაბჭოს ბევრ წევრს სააკაშვილთან ერთად აღარ სურს პარტიაში ყოფნა.***

– მეეჭვება, ასეთი რამე იყოს, მაგრამ, თუ ასე ვინმე ფიქრობს, კეთილი ინებოს და პარტიიდან მიბრძანდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნაციონალური მოძრაობა მიხეილ სააკაშვილია.

***– რატომ არის ნაცმოძრაობა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი. მას სხვა ლიდერებიც ჰყავს.***

– პარტიას რამდენიმე ლიდერი ჰყავს, ჰყავს წევრები და მხარდამჭერები, მაგრამ მიშა არის სულ სხვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრენდი ნაციონალური მოძრაობა მისი შექმნილია. მის გარეშე ეს პარტია არ იარსებებს. თუ ვინმეს იმის ილუზია აქვს, რომ 500.000 ამომრჩეველმა განახლებულ პირველ და განუახლებელ მეორე ათეულს დაუჭირა მხარი, ძალიან შემცდარა.

თუ ვინმეს სააკაშვილთან ერთად პარტიაში ყოფნა არ უნდა, შეუძლია მიბრძანდეს და ახალი პარტია დააფუძნოს, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა თავის დროზე.

***– არის იმის ალბათობა, რომ სააკაშვილმა ახლაც დატოვოს პარტია?***

– ის არსად წავა. ის ერთადერთი ადამიანია, რომლისაც საშინლად ეშინია რუს ოლიგარქ ივანიშვილს. რადგან ასე აშინებს მისი სუნთქვაც კი, ეს ოლიგარქს ძალიან ახლოდან უნდა ესმოდეს. მას მხოლოდ სააკაშვილი დაამარცხებს, რომელიც ქართული პოლიტიკიდან არასდროს წავა. სადაც სააკაშვილი იქნება, იქ იქნება ის ნახევარი მილიონი ამომრჩეველი, რომელმაც 8 ოქტომბერს მოგვცა ხმა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ არის არც სათავო ოფისი, არც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, არც 27 დეპუტატი და არც პოლიტსაბჭო. ენმ არის ის 500.000, ვინც სააკაშვილს დაუჭირა მხარი.

***– პოლიტსაბჭო ვახსენეთ და რას ფიქრობთ მის გადაწყვეტილებაზე? ამბობენ, რომ უნდა მოხდეს დახურული ჯგუფის წევრებთან გამიჯვნა. რა ჯგუფებზეა საუბარი?***

– პოლიტსაბჭოს დადგენილება ძალიან არასერიოზული განცხადებაა. ალბათ, არსად ხდება, როცა პარტიის წარმომადგენლები საკუთარ ამომრჩეველს უპირისპირდებიან. ამ გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ვეთანხმები.

***– და რა ჯგუფებთან უნდა მოხდეს გამიჯვნა?***

– საუბარია სოციალურ ქსელებში არსებულ ჯგუფებზე. უამრავი ასეთი ჯგუფია, სადაც ყველა თავის აზრს აფიქსირებს. ნაციონალური მოძრაობა არის დემოკრატიული პარტია, სადაც ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. ჩვენ თუ დემოკრატია გვინდა, მაშინ განსხვავებულ მოსაზრებებსაც უნდა ვცეთ პატივი. თუ განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა არ გვინდა, მაშინ გადავკეთდეთ კომუნისტურ პარტიად, სადაც ყველა ერთ აზრზე ვიქნებით.

***– პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევაზე გადავიდეთ. როგორ უნდა მოხდეს მისი არჩევა? ვინ უნდა აირჩიოს, პოლიტსაბჭომ თუ ყრილობამ?***

– პოლიტსაბჭომ პარტიის თავმჯდომარე რატომ უნდა აირჩიოს? ჩატარდეს გაფართოებული ყრილობა და იქ გადაწყდება, ვინ ვის აირჩევს.

***– ამბობენ, რომ პარტიის ახალი თავმჯდომარის პოსტზე დავით ბაქრაძის კანდიდატურა განიხილება. ამაზე რას იტყვით?***

– თქმით კიდევ ბევრ რამეს ამბობენ და მომავალშიც იტყვიან. თუ მოიწვევენ გაფართოებულ ყრილობას, ნახავთ, ვინ ვის აირჩევს.

***– ისე დაჟინებით ამბობთ, რომ წინასწარ იცით შედეგი.***

– რა თქმა უნდა, ვიცი. პარტიის გაფართოებული ყრილობა პარტიის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილს აირჩევს. გავიმეორებ, რომ 8 ოქტომბერს 500.000-მა ადამიანმა მხარი მიხეილ სააკაშვილს დაუჭირა.

***– ამ ყველაფრის შემდეგ სააკაშვილს ხომ შეიძლება გაუქრეს პარტიის თავმჯდომარეობის სურვილი?***

– სააკაშვილს არასდროს გაუქრება ოლიგარქის დამარცხებისა და ბრძოლის სურვილი.

***– მასთან ბრძოლა სხვა პარტიასთან ერთადაც ხომ შეიძლება?***

– რატომ უნდა გააკეთოს სხვა პარტია, როცა არსებობს ეს პარტია და ეს პარტია ვართ ჩვენ – 500.000 ადამიანი. მიშას პარტია არ ჰქონდა, შევარდნაძის რეჟიმს რომ დაუპირისპირდა. ის მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი იყო და, როცა იქ ადგილი ვერ დაინახა, გამოეყო იმათ და თანამოაზრეებთან ერთად ახალი მოძრაობა შექმნა. ეს მოძრაობა ახლა არის ბრენდი და მას ნაციონალური მოძრაობა ჰქვია. ვისაც მიშა არ უნდა, წავიდნენ ნაცმოძრაობიდან და ახალი პარტია შექმნან.

***– ამ ფონზე როგორ აფასებთ გიორგი ვაშაძის გადაწყვეტილებას, რომელმაც რამდენიმე თვის წინ დატოვა თანამდებობა? ის ამბობდა, რომ სააკაშვილის ზურგსუკან რაღაცები ხდებოდა.***

– მის გადაწყვეტილებას ახლაც უარყოფითად და ზურგში დანის ჩარტყმად ვაფასებ. თუ მიშას ზურგსუკან რაღაცები ხდებოდა, პარტიიდან კი არ უნდა გაქცეულიყო, პარტიაში თანამოაზრეები უნდა მოეძებნა და ამას შებრძოლებოდა. ან რა გაუხდა თანამოაზრეების მოძებნა? ზურაბ ჯაფარიძემაც კი იპოვა პარტიაში 3 თანამოაზრე და „გირჩი“ შექმნა, ის კი პარტიიდან გაიქცა.

---

## მიხეილ ჯანელიძე: „საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი გადაუწყვეტელია“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ჯანელიძის განცხადებით, რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე საუბარი არ არის.

– საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი, რომელიც ძალიან მძიმე შედეგებს ატარებს საქართველოსთვის, გადაუწყვეტელია.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საერთაშორისო ფორმატებში, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად მოხდეს ამ კონფლიქტის დარეგულირება. არანაირი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე ამ ეტაპზე საუბარი არ არის, – განუცხადა ჟურნალისტებს მიხეილ ჯანელიძემ.

**მედიანიუსი**

---

## ფილიპ ბრიდლავი: „ნატო მზად არის მოკავშირეების დასაცავად“

– ნატო მზად არის მოკავშირეების დასაცავად.

ამის შესახებ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას აშშ-ის ევროპული სარდლობის ყოფილმა მეთაურმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა განუცხადა.

ვაშინგტონში, 3 ნოემბერს, ატლანტიკურ საბჭოში შეხვედრა გაიმართა, რომელიც მოსკოვის და ვაშინგტონის ურთიერთობას შეეხო ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

ბრიდლავის შეფასებით, რუსეთის ტაქტიკა არ იცვლება. კრემლი აგრძელებს მეზობელი ქვეყნებისადმი აგრესიულ პოლიტიკას და ასევე კამპანიას სირიაში.

– თუ გავიხსენებთ უელსის სამიტს, სამიტისთვის მზადების დროს ჩვენ ვნახეთ აგრესიული რუსეთი, რომელიც შეიჭრა ყირიმში და მოახდინა მისი ოკუპაცია, ასევე დონბასი და სხვა ოპერაციები. ამან გამოიწვია ჩვენი აღმოსავლეთის მოკავშირეების შეშფოთება და უელსში მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაგვერწმუნებინა ჩვენი მოკავშირეები, რომ ნატო მზად არის მათ დასაცავად.

ის ქმედებები, რაც ჩვენ განვახორციელეთ, იყო მოკრძალებული რიცხვებსა და მასშტაბებში. ეს იყო დამარწმუნებელი ქმედებები ჩვენი მოკავშირეებისთვის, – განაცხადა ბრიდლავმა.

მისივე თქმით, რუსეთი ახორციელებს აგრესიულ ქმედებებს უკრაინასა და საქართველოში.



ბრიდლავმა აღნიშნა, რომ მოსკოვი განაგრძობს საოკუპაციო ხაზის გადმოწევას საქართველოს შემთხვევაში.

მან განაცხადა, რომ ნატო რუსეთის აგრესიას პასუხობს.

– უელსის შემდეგ და ვარშავის სამიტამდე, რუსეთის ქცევები არ შეცვლილა. ჩვენ ვნახეთ უფრო აგრესიული რუსეთი, რომელიც ჩაერთო სირიის კამპანიაში. სწორედ ამიტომ, ვარშავის სამიტზე ალიანსმა გადაწყვიტა, გადართულიყო დამარწმუნებელი ზომებიდან შემაკავებელ ზომებზე.

ალიანსის მაღალი დონის შეხვედრებზე ვიღებთ გადაწყვეტილებებს, რომლებითაც ვპასუხობთ რუსეთს იმ ქმედებების შესაბამისად, რომელთაც რუსეთი ყირიმში ახორციელებს, დონბასში, ასევე დამატებით განაგრძობს საქართველოში ხაზის გადაწევას და ასევე სირიაში.

ნატო ატარებს მისი მოკავშირეების დარწმუნების და რუსეთის შეკავების პოლიტიკას. რუსეთი ახორციელებს ქმედებებს, რომლებზეც ნატო აძლევს რეაქციას, – აღნიშნა მან.

ბრიდლავის თქმით, ნატო არ აძალებს ქვეყნებს, რომ გახდნენ ალიანსის წევრები, პირიქით, ნატოს მეზობელ ქვეყნებს თავად აქვთ მისწრაფება, შეუერთდნენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს.

◆ ◆ ◆

აღნიშნულ შეხვედრაზე საუბარი რუსეთ-ამერიკის მომავალ ურთიერთობებსაც შეეხო.

მონაწილეები და მომხსენებლები მიმოიხილავდნენ, თუ როგორი იქნება საგარეო პოლიტიკა კლინტონის ან ტრამპის პრეზიდენტობის შემთხვევაში.

კამპანიის განმავლობაში, დონალდ ტრამპმა რუსეთის და მისი ლიდერისადმი სიმპათიები გამოხატა და განაცხადა, რომ გადახედავდა ამერიკის ფინანსურ მხარდაჭერას ევროპელი პარტნიორებისა და ნატოსთვის.

ამასთანვე, რუსეთის საკითხი კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში მას შემდეგ, რაც გამოძიებამ დაადგინა, რომ ეროვნულ დემოკრატიული კომიტეტის სერვერებზე შეტევა რუსეთმა განახორციელა, რასაც კრემლი უარყოფს.

ბრიდლავის თქმით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება ამერიკის შემდეგი პრეზიდენტი, რუსეთთან ურთიერთობების წამიერ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ.

– ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმისა თუ ვინ იქნება ამერიკის პრეზიდენტი, ამერიკის და რუსეთის ურთიერთობების შემობრუნება ერთ ღამეში ვერ მოხდება. არ მგონია, რომ რომელიმე კანდიდატი სწრაფად შეცვლის ჩვენს პოლიტიკას რუსეთისადმი, – განაცხადა ბრიდლავმა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# მირიან მირიანაშვილი: „დავით ბაქრაძე სიმბოლური თავმჯდომარე იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი



ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელ მირიან მირიანაშვილს

**მირიან მირიანაშვილი:**

– გიგი უგულავას წერილი, რომელშიც ის ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის არჩევაზე საუბრობს, შეთანხმებული იყო. ჯერ კიდევ მის გასაჯაროებამდე ამის შესახებ საქმის კურსში იყო სააკაშვილიც, რომელმაც საპასუხო მიმართვა გაავრცელა.

***– მომავალი ცვლილებები პარტიაში წინასწარ შეთანხმებულია?***

– ამ პარტიაში რადიკალური ცვლილებები არ მოხდება. გიგი უგულავას აღშფოთება კი გულწრფელია. ისიც სხვებივით პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. სააკაშვილმა ნაცმოძრაობაც მოატყუა და თავისი სატელიტებიც. ოდესის გუბერნატორი ყველას არწმუნებდა, რომ ამ შემოდგომაზე მოხდებოდა ხელისუფლების გადაბარება, ციხეში მყოფი ნაციონალების ლიდერები კი გათავისუფლდებოდნენ. წერილის ავტორებმა გამოიყენეს გიგი უგულავას უიმედობა და წერილი გავრცელდა მისი სახელით.

***– პარტიაზე კონტროლის დამყარების მცდელობა აქვს გიგა ბოკერიას.***

– ბოკერიასა და ჩერგოლეიშვილს უნდოდათ და ახლაც უნდათ, იყვნენ შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლები და გავლენიანები, თან სააკაშვილის ფინანსების შენარჩუნებით. ბოკერიას პირადად მიუწვდებოდა ხელი ფულზე. ის განკარგავდა თანხებს. ამის თაობაზე მასთან პარტიაში პრეტენზიებიც არსებობს. ნაციონალური მოძრაობა, მისი სატელიტები, რუსთავი 2, შავი ფულით არსებობენ. ესაა როგორც სააკაშვილის მიერ გამოგზავნილი, ისე ქვეყნის შიგნით მობილიზებული თანხები. მარტო წელს ამ პარტიის დანახარჯებმა 35 მილიონ ლარს გადააჭარბა. სააკაშვილის ჩამოცილების შემთხვევაში ნაციონალურ მოძრაობას მოუწევს საბიუჯეტო ფინანსების კმაყოფაზე ყოფნა, რაც ათჯერ ნაკლებია არსებულ არალეგალურ წყაროებთან შედარებით. ამიტომ არავის უნდა ამის დაკარგვა.

***– პარტიის გარდაქმნა თუ უნდათ?***

– პარტიაში არიან სააკაშვილის ხელქვეითები. ესაა მორალისაგან დაცლილი ხალხი. ამ ადამიანებს არც გარდაქმნების სურვილი აქვთ და არც რებრენდინგის. გავლენების შენარჩუნების სურვილი ამოძრავებთ ბოკერია-ჩერგოლეიშვილს. მათ სააკაშვილის მიმართ პირადი ბოღმაც დაუგროვდათ. ეს ინტიმური საკითხია და პირად ცხოვრებას ეხება, ამიტომ დეტალებზე საუბრისაგან თავს შევიკავებ. დარწმუნებული ვარ, ოდესმე ხალხი სააკაშვილის აღვირახსნილობაზე სრულ სიმართლეს გაიგებს. ახლა სააკაშვილზე ცოფებს ყრიან არა მარტო ნაცმოძრაობაში, არამედ, მის მიერ მართულ სხვა პარტიებშიც. ნაციონალების არაფორმალურმა ლიდერმა ყველა გააცურა. მან შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს აშშ მის საქართველოში დაბრუნებას ხელს უწყობდა. სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. ამერიკის ადმინისტრაციასთან სააკაშვილს კომუნიკაციაც კი არ აქვს. უკრაინაში აშშ-ის ახალი ელჩი ჰყავს. ოდესის გუბერნატორმა აქაურ მომხრეებს მოუთხრო მასთან შეხვედრების შესახებ, თუმცა ის დამალა, რომ აშშ-ის ელჩისგან დამაიმედებელი ვერაფერი მოისმინა. ეს უკრაინის პოლიტიკური ელიტისგან ვიცი. სექტემბერში სააკაშვილმა ამერიკელ დიპლომატთან ბიძინა ივანიშვილი დააბეზღა. მან მოაგროვა ყველაფერი, რასაც ივანიშვილს აბრალებენ და ელჩს წარუდგინა. დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის პასუხი ასეთი იყო – თუ საქართველოში 8 ოქტომბრის არჩევნებზე რაღაც საშინელება არ მოხდა, აშშ-ის ადმინისტრაცია ამ არჩევნებზე პოზიტიურ დასკვნას დადებსო. არჩევნები, მართლაც, დადებითად შეფასდა, ნაცმოძრაობას კი დესტრუქციული გეგმები ჩაეშალა.

***– ნაციონალურ მოძრაობაში თავმჯდომარე უნდა აირჩიონ.***

– თავმჯდომარე, ალბათ, დავით ბაქრაძე იქნება. უსაფრთხო და არაამბიციური ბაქრაძე სააკაშვილს პრობლემებს არ შეუქმნის. ბაქრაძე იქნება სიმბოლური თავმჯდომარე. ბოლო პერიოდში პარტიას თავმჯდომარე არ ჰყოლია, რაც კანონის დარღვევაა. ამ პარტიის წესდება ჩემი დაწერილია. ის არ შეცვლილა. პოლიტსაბჭოს ფუნქციები ნომინალურია. მაშინ ვიცოდი, რომ პარტიის მითვისება სააკაშვილს უნდოდა და, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, პოლიტსაბჭოს ნაკლები უფლებები დავუკანონე, თუმცა, საბოლოოდ, პარტია დავკარგე. ყრილობის მოსაწვევად თავმჯდომარის გადაწყვეტილებაა აუცილებელი. თავმჯდომარე პარტიას არ ჰყავს. პოლიტსაბჭოში გადაწყვეტილების მიღებას ხმების ორი მესამედი უნდა. ბოკერიას ამდენი მომხრე ამ საბჭოში არ ჰყავს. საერთოდ, არ არის გამორიცხული, რომ ყრილობის მოწვევა დარღვევებით მოხდეს და ყრილობის შედეგებიც არალეგიტიმური იყოს.

***– დავუშვათ, რომ ყველაფერი ლეგიტიმურად დამთავრდა. ნაცმოძრაობის მართვას ისევ სააკაშვილი გააგრძელებს?***

– სააკაშვილი საქართველოს არ შეეშვება. ამ ეტაპზე მან ბევრი გააწბილა, მაგრამ პოლიტიკაში ჩარევასა და გარკვეულ მავნებლობებს არ მოიშლის. მას სჭირდება მოქმედი პოლიტიკოსის იმიჯი და პოლიტიკური დასაყრდენი, ამიტომ მისთვის საჭიროა ნაციონალური მოძრაობა. სააკაშვილი ზრუნავს საკუთარი დიდი ქონების დაზღვევაზე. საეჭვო ქონებაზე რომ არავინ შეედავოს, ის მოქმედი პოლიტიკოსი უნდა იყოს. მის მიერ მობილიზებული შავი ფული სჭირდება ნაცმოძრაობას. პარტიაში არის ეს ინტერესები. იქ ფასეულობები, რებრენდინგი და ქვეყანა არ აინტერესებთ. ზოგიერთი სატელიტი პარტია იმედოვნებს, რომ ნაციონალურ მოძრაობაში კონფლიქტი გაღრმავდება და სააკაშვილი სხვების სპონსორი გახდება. ამ პარტიებს მორიგი იმედგაცრუება ელით.

# აფხაზეთის სომეხი დეპუტატები ერევნისგან აფხაზეთის აღიარებას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

საარჩევნო ციებ-ცხელებით დაავადებულ საქართველოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები თვალთახედვიდან გამორჩა. მაშინ, როცა პოზიციაც და ოპოზიციაც არჩევნების მეორე ტურისთვის ემზადებოდნენ, სოხუმმა ერევანთან ტელეხიდი მოამზადა და აფხაზეთის აღიარება მოითხოვა.

ამ ტელეხიდში აფხაზეთის პარლამენტის წევრები და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საუბრისას ხაზი გაესვა აფხაზეთისა და სომხეთის განსაკუთრებულ ურთიერთობებს. აფხაზურ მხარეს ვაგარაშაკ კოსიანი, ლევონ გალუსტიანი, ხაჩიკ მინოსიანი და გალუსტ ტრაპიზონიანი წარმოადგენდნენ.

კოსიანი აფხაზეთის პარლამენტის ვიცესპიკერია, გალუსტიანი კი – ჩვეულებრივი დეპუტატი. საზოგადოებრივ პალატას წარმოადგენს მინოსიანი, ტრაპიზონიანი კი აფხაზეთის სომხების კავშირის თავმჯდომარეა. წლების წინ მას დეპუტატის მანდატიც ედო ჯიბეში, უფრო ადრე კი ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის რიგებში იბრძოდა.

ამ ვიდეოხიდს აფხაზურ და სომხურ მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ამ თემაზე დღემდე აქტიურად საუბრობენ.

დეპუტატი ლევონ გალუსტიანი მიიჩნევს, რომ, ოფიციალური თბილისის წინააღმდეგობის მიუხედავად, ერევანმა აფხაზეთთან კავშირი უნდა დაამყაროს. გალუსტიანი ხაზს უსვამს იმას, რომ აფხაზეთში ბევრი ეთნიკური სომეხი ცხოვრობს.

ვაგარშაკ კოსიანი კი ოფიციალური ერევნისგან ითხოვს, რომ ტურისტების მოზიდვაში დაეხმაროს. მისი თქმით, აფხაზეთის კურორტები სომეხი ტურისტების მისაღებად მზადაა. ვიცესპიკერის მტკიცებით, ეს კურორტები ტურისტებს ძალიან მოსწონთ. ამ კურორტებზე ძირითადად რუსები ჩადიან და ისინი საშინელი პირობების გამო ხშირად ჩივიან.




ბოლო ხანებში აფხაზეთში ანტისომხური განწყობა მკვეთრად გაიზარდა. ამის გამო არაერთი განცხადება გააკეთეს სომხური დიასპორის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხებმა აფხაზეთში რაოდენობით კარგა ხანია გაასწრეს აფხაზებს, რაც მათ გაღიზიანებას იწვევს.

ოფიციალური ერევანი ცდილობს დაადგინოს, რამდენად შორს წავიდა ანტისომხური განწყობები. აფხაზთა ქსენოფობიურ გამოხდომებს ყველაზე ხშირად გალუსტ ტრაპიზონიანი აპროტესტებდა, თუმცა ის ახლა სხვანაირად საუბრობს.

– აფხაზეთში ჩვენ თავს ვგრძნობთ კომფორტულად. აქ გახსნილია 26 სომხური სკოლა, სადაც პერიოდულად ვიღებთ ყველა აუცილებელ ლიტერატურას სომხეთიდან. არის შესაძლებლობა, რომ მომავალ თაობას შევასწავლოთ სომხური ენა და მოვამზადოთ ისინი სომხური უმაღლესი სასწავლებლებისთვის. კარგი იქნება ასევე, თუ ჩარტერული ავიარეისები დაინიშნება აფხაზეთიდან სომხეთში, რათა სომეხ ტურისტებს მიმოსვლა გაუადვილდეთ, – აღნიშნა ტრაპიზონიანმა.

აფხაზეთის სომხური დიასპორა სომხეთთან ეკონომიკური კავშირების დამყარებაზეც ოცნებობს. მათ რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის რკინიგზის გახსნაც მოითხოვეს, რასაც აფხაზების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა.

ამ რკინიგზის ამოქმედების შემთხვევაში რუსეთი საქართველოს გავლით სომხეთს რკინიგზით დაუკავშირდება.

რკინიგზის აღდგენის საკითხი დროებით შეჩერებულია. ამ ეტაპზე აფხაზეთის სომხური დიასპორა კერძო ბიზნესის დონეზე ცდილობს ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას სომხეთთან. კერძოდ, მუშავდება თევზის პროდუქციის გატანისა და მისი შემდგომი გადამუშავების საკითხი.

ყველაზე მეტად სომხურ დიასპორას აფხაზეთის აღიარება სდომებია.

– იმედი გვაქვს, რომ იმ ქვეყნების რიცხვს, რომელთაც ოფიციალურად აღიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, მალე სომხეთიც მიუერთდება. კარგად გვესმის, რა სირთულეებთან იქნება ეს დაკავშირებული, – აღნიშნა აფხაზეთის პარლამენტის ვიცესპიკერმა.

ოფიციალურ ერევანს ამასთან დაკავშირებით განმარტება არ გაუკეთებია. განმარტებები არც თბილისს მოუთხოვია. აფხაზეთში კი იმედი აქვთ, რომ სომხეთი მათ ვედრებას შეისმენს და მათ დამოუკიდებლობას აღიარებს.

# რაში იღებს კახეთის საოლქო პროკურორი პრეზიდენტსა და პრემიერზე ბევრად მაღალ გასამრჯელოს

**კახეთის საოლქო პროკურორი პრეზიდენტსა და პრემიერზე ბევრად მაღალ გასამრჯელოს იღებს. კახეთის საოლქო პროკურორ ვაჟა ფანოზიშვილის წლიური გასამრჯელო 100.000 ლარზე მეტია.**



ეს თანხა მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრისა და უკლებლივ ყველა მინისტრის თანამდებობრივ სარგოს.

კახეთის საოლქო პროკურორად ვაჟა ფანოზიშვილის მუშაობის პერიოდში რეგიონში ათეულობით მძიმე დანაშაული მოხდა, მათ შორის არაერთი გახმაურებული საქმე ამ დრომდე გამოუძიებელია.

ვაჟა ფანოზიშვილი კახეთის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე 2014 წლის 12 სექტემბერს დაინიშნა. მანამდე მას სხვადასხვა თანამდებობა ეკავა საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ქალაქ თბილისის პროკურატურაში.

საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილი ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ვაჟა ფანოზიშვილმა 2015 წელს შრომის ანაზღაურების სახით (პრემიებისა და დანამატების ჩათვლით) მიიღო 100.765 ლარი. ეს თანხა თითქმის 3-ჯერ აღემატება საოლქო პროკურორისათვის კანონმდებლობით დადგენილ ხელფასს. კერძოდ, პროკურატურის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის ბრძანებით, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის პროკურორის, აჭარისა და აფხაზეთის ა/რ პროკურორების, ასევე საოლქო პროკურორების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 2.930 ლარია, რაც წელიწადში 35.160 ლარს შეადგენს.

ვაჟა ფანოზიშვილის თანამდებობრივი შემოსავალი მხოლოდ 2.525 ლარით ჩამორჩება საქართველოს მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის მიერ იმავე პერიოდში მიღებული შრომით ანაზღაურების ოდენობას.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პრემია გულისხმობს ყველა სახის ფულად წახალისებას, გარდა სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ფულადი პრემიებისა, ხოლო დანამატი მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს.

კახეთის საოლქო პროკურორად ვაჟა ფანოზიშვილის მუშაობის პერიოდში რეგიონში ათეულობით მძიმე დანაშაული მოხდა, მათ შორის არაერთი გახმაურებული საქმე ამ დრომდე გამოუძიებელია.

მაგალითად, 2016 წლის 7 აგვისტოდან 18 აგვისტომდე პერიოდში, ერთ კვირაში კახეთში სამი მკვლელობა მოხდა. მოკლეს პარლამენტის ყოფილი წევრი, ამერიკელი ტურისტი და მარტოხელა ქალი.

2015 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „უსუფაშვილისთვის მთავარია, რომ ქალბატონი თინა არ მიატოვებს“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს გარეთ დარჩენილ პარტიებსა და მათ ლიდერებს 2020 წლისთვის არანაირი შანსი არ აქვთ, ქვეყნის მართვის სადავეები ხელში აიღონ. მათ ხალხი მხარს არ დაუჭერს, თუმცა, თუ ეკონომიკური კოლაფსი იქნება, ვითარება შეიცვლება.**



## პეტრე მამრაძე: „ჩვენთან პარტიები არ არსებობს“



– მათ პერსპექტივა არ აქვთ, რადგან ისინი არასოდეს ყოფილან პოლიტიკური პარტიები. საქართველოში ჯერჯერობით არცერთი პოლიტიკური პარტია არ შექმნილა, შექმნის კონტურებიც კი არ არის გამოკვეთილი. „ოცნებაც“ კი არ არის პარტია, ისევე, როგორც თავის დროზე სმკ, – აცხადებს მამრაძე.

*– რატომ?*

– საქართველოს საზოგადოება, მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება და შრეებად დაყოფა არ არის იმ დონეზე მისული, რომ საზოგადოებამ პოლიტიკური პარტიები შექმნას.

*– თუ პარტიები არ გვაქვს, რამდენად მიზანშეწონილია მხოლოდ პროპორციული წესით არჩევნების ჩატარება და მაჟორიტარულის გაუქმება, რასაც მოითხოვენ?*

– ეს საკითხი საკამათოა, თუმცა სწორი საარჩევნო სისტემა სწორედ რომ ხელს შეუწყობს პარტიების შექმნას. საარჩევნო მარათონში 43 ე.წ. პოლიტიკური პარტია ჩაერთო. ისეთ ქვეყანაში, სადაც 3,5 მლნ ადამიანია დარჩენილი, ბიუჯეტი კი მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის ბიუჯეტზე ნაკლებია, 43 პარტიის ჩართვა არჩევნებში ხომ სრული აბსურდი, მარაზმი და პოლიტიკური ანეკდოტია! დიდ და მდიდარ ქვეყნებში 3-4 მოქმედი პარტიაა, პატარა საქართველოში კი 220-ზე მეტი პარტიაა რეგისტრირებული.

*– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევთანხმდით მთავარ ღირებულებებზე?*

– ეს იმას ნიშნავს, რომ არ მოხდა საზოგადოების სეგმენტაცია, როდესაც საზოგადოების ყველა მნიშვნელოვან სეგმენტს შეუძლია, შექმნას ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებს დაიცავს. ჩვენთან იქმნება პოლიტიკური ჯგუფები მეტ-ნაკლებად ცნობადი ადამიანების გარშემო. შემდეგ ეს დაჯგუფებები ფულის მოპოვებისთვის იბრძვიან. შემდეგ მათი ცნობადობის კაპიტალიზაცია ხდება. ამას ჩვენი კანონმდებლობა უწყობს ხელს.

დაფინანსებას მიიღებს ის, ვინც ახლა არჩევნებში 3% მიიღო, მათ შორის, დაფინანსებას მიიღებენ ბლოკებში გაერთიანებული პარტიებიც. ყველა მიიღებს დაფინანსებას და თავისთვის კარგ ხელფასებსაც დაინიშნავენ.

დაფინანსება ექნებათ თავისუფალ დემოკრატებს, ბურჯანაძის პარტიას, პატრიოტთა ალიანსს, რომელშიც შედიან აკაკი ასათიანის, კონსტანტინე გამსახურდიასა და კუკავას პარტიები. ისინიც მიიღებენ დაფინანსებას, ვინაიდან ალიანსმა არჩევნებში 5%-იანი ბარიერი გადალახა ანუ დაფინანსებისთვის ბრძოლა შეიძლება. ქვეყანაში, სადაც ამხელა უმუშევრობაა, ეს ბევრისთვის საკმაოდ მომგებიანია, თუმცა პარტიები არ შექმნილა.

*– პოლიტიკიდან წასულებს, მაგალითად, ალასანიას, პეტრიაშვილსა და სხვებს პოლიტიკაში დაბრუნების შანსი აქვთ ან ის პარტიები ისევ მიიღებენ ამ ლიდერებს?*

– ძნელი წარმოსადგენია, თუ ეკონომიკური კოლაფსი არ მოხდა. თუ ცხოვრება აეწყო, მათ პოლიტიკაში დაბრუნებისა და გამარჯვების შანსი არ ექნებათ. მათ არ აქვთ არც პროგრამები და არც ის ქარიზმა, რომ დამაჯერებლად, გასაგები ენით ესაუბრონ ამომრჩეველს.

*– მაშ, რის იმედი აქვს, მაგალითად, უსუფაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ 2020 წლისთვის მოემზადება ანუ პარტიას შექმნის და არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას?*

– იმედი მათ ყოველთვის აქვთ. მე ჯერ კიდევ 1995 წელს მომისმენია რესპუბლიკელებისგან, ახლა 20%-ზე ნაკლებს არ ავიღებთო. რომ ვეუბნებოდი, თქვენ ბარიერს ვერ გადალახავთ-მეთქი, ძალიან სწყინდათ. მაშინ პოლიტიკაში აქტიურად ვიყავი ჩართული, პარლამენტის წევრი და შევარდნაძის აპარატის უფროსი გახლდით. რესპუბლიკელებში ძალიან ბევრი ნაკითხი და კანონების მცოდნე ადამიანია. ვახტანგ ხმალაძემ რომ იცის კანონმდებლობა, ცნობილია.

*– რესპუბლიკური პარტია ახლა ვახტანგ ხმალაძემაც რომ დატოვა?*

– დიახ, პაატა ზაქარეიშვილმა თქვა, უთანხმოება გვაქვს პარტიის მომავალ გეგმებთან დაკავშირებითო. დავით ზურაბიშვილმა (რომელიც პარტიაში დარჩა) დაამატა, წასვლის შეფასებასთან დაკავშირებითაც უთანხმოება გვაქვსო. წლების წინ უფროსი თაობის რესპუბლიკელებს ჩემთვის უთქვამთ (ისე მოხდა, რომ 2012 წლის შემდეგ მათთან კონტაქტი არ მქონია), რა ვქნათ, ჩვენ ვართ პოლიტიკური კლუბი და ვერ გავცდით პოლიტიკური კლუბის ჩარჩოებსო.

*– ანუ ამ პოლიტიკური კლუბის ჩარჩოები ვიწრო აღმოჩნდა უსუფაშვილისთვის?*

– არა, უბრალოდ, შიგნით არის უთანხმოება. უსუფაშვილისთვის მთავარია, რომ ქალბატონი თინა არ მიატოვებს. მან თქვა, რომ უსუფაშვილის პარტია არ იარსებებს. ვნახოთ, რა იარსებებს.

*– ხომ არ არის მოსალოდნელი პრეზიდენტთან ერთად პარტიის შექმნა?*

– ეს მთლად უიმედო აზრი არ არის, მაგრამ არცერთი მათგანი არ გამოდგება იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად პოპულარული გახდეს სატელევიზიო გამოსვლებში. საქართველოში და მსოფლიოშიც ტენდენციაა, რომ ადამიანები აფასებენ ლიდერების ტელეგენურობას.

*– პრეზიდენტი მარგველაშვილი არ არის ტელეგენური?*

– ნამდვილად არა. არსებობს ჩვენი თაობის ბომონდის მცირე ნაწილი. მათ შორის არიან მისი ახალგაზრდების ამხანაგები თუ ნაცნობები, რომლებიც მას მხარს დაუჭერენ. ამით ამოიწურება. შეიძლება, ასეთ ადამიანს ჰქონდეს მეტ-ნაკლებად სერიოზული მხარდაჭერა? პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაც იყო, რომ პრეზიდენტის გარშემო არავითარი პარტიები არ შეიქმნება.

*– ე.ი. პარლამენტის გარეთ დარჩენილი პარტიების პერსპექტივას 2020 წლისთვის ვერ ხედავთ და პოლიტიკოსების ახალი ტალღა უნდა მოვიდეს?*

– ვნახოთ. ამ ეტაპზე ქართველი ბიზნესმენები არ დააფინანსებენ არცერთ პოლიტიკურ ძალას, თუ არ იქნება მმართველი დაჯგუფების ძალა. ფინანსების გარეშე დღეს პარტიის არსებობა შეუძლებელია. ამიტომ მეცნიერული პროგნოზი ასეთია: ღმერთმა ნუ ქნას, თუ მოხდება ეკონომიკური კოლაფსი, ვთქვათ, ლარის კურსი დოლარის მიმართ ჩამოიშლება, მოხდება ლარის კუპონიზაცია (მე ამის მომხრე არ ვარ), მაშინ იმისთანა დემაგოგი გამოვა ასპარეზზე, შეიძლება, დღეს მისი სახელი და გვარი არ ვიცოდეთ, მაგრამ სააკაშვილი და ნათელაშვილი, ერთად აღებული, ზომიერად შეიძლება მოეჩვენოს ინტელიგენტ ადამიანს.

*– ვინმეზე მიგვანიშნებთ?*

– ნამდვილად არა. ჰიტლერზე არავის წარმოდგენა არ ჰქონდა გერმანიის პოლიტიკურ სპექტრში. არადა, ეს იყო უძლიერესი პოლიტიკური სპექტრი გერმანიაში, სავსე ცნობილი ფიგურებითა და პოლიტიკური მოღვაწეებით, რომლებსაც ჰიტლერი არც გაეგოთ, ვინ იყო.

ასეთი კანდიდატი ყოველთვის არის. ადოლფ ჰიტლერი მოვიდა პირველი მსოფლიო ომის წაგების შემდეგ, გერმანიაში დაწყებული ჰიპერინფლაციის ფონზე. დილით აღებული ხელფასი საღამოს უკვე განულებული იყო. ამ დროს გამოჩნდა ჰიტლერი, ყველაფერი სხვებს დააბრალა და ხალხი გაუნათლებელ ფსიქოპათს გაჰყვა.

წარმოიდგინეთ, ჩვენნაირ ქვეყანაში, სადაც გამოცდილება იმისა, რომ იძახონ: „მიშა, მიშა“, „გრიშა, გრიშა“, დიდია, რა მოხდება, თუმცა, ასეთ ვითარებაშიც კი, ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს, არც ალასანიას, არც უსუფაშვილს და არც სხვებს შანსი არა აქვთ, რომლებიც დარჩნენ 5%-იანი ბარიერის მიღმა ან საერთოდ დაიშალნენ.

*– ბურჯანაძეს?*

– არც ბურჯანაძეს აქვს შანსი. ბურჯანაძეს არც მოუსმენენ ისეთ ვითარებაში, როდესაც დემაგოგია და პოპულიზმი იქნება საჭე. თუ იქნება ეკონომიკური წინსვლა, მათ არც მაშინ აქვთ შანსი.

*– ვის აქვს შანსი, ნაცმოძრაობას?*

– ნაცმოძრაობას ნულოვანი შანსი აქვს ამ ეტაპზე. განხეთქილების ფონზე უგულავაც ღიად ალაპარაკდა, რომ საჭიროა ახალი თავმჯდომარის არჩევა. ასევე ბოკერია გამოდის და ლაპარაკობს ამაზე. ეს ის ხალხია, რომელიც ხალხის უდიდეს ნაწილს აქტიურად სძულს.

*– სააკაშვილის გარეშე რა იქნება ნაცმოძრაობა?*

– სააკაშვილის გარეშე მათ საერთოდ არ ექნებათ ცნობადობა საერთაშორისო ასპარეზზე. სააკაშვილი, რომელიც არის ფსიქოპათი და სკანდალური პირი, ერთადერთ ცნობად ფიგურად რჩება საერთაშორისო ასპარეზზე. მას კონტაქტები შენარჩუნებული აქვს იმ ლობისტებთან, რომლებსაც მილიონებს უხდიდა.

*– ბოკერიასა და სხვებს არ აქვთ ცნობადობა?*

– ბოკერია, ისევე, როგორც ალასანია და უსუფაშვილი, იცნობს 10-15 სენატორს, კონგრესმენსა თუ ევროპული პარტიის წარმომადგენელს.

*– ცნობადობა აუცილებელია?*

– როცა პოლიტიკოსს შიგნით არ გაქვს მხარდაჭერა, გარე ცნობადობაც არ შველის, მაგრამ ბოკერიას სინდრომი და ყოველი მისი გამოსვლა ტელევიზიით ნიშნავს იმას, რომ ნაცებს არცერთი ხმა არ მოემატებათ. შეიძლება, იმასაც დააკლდეს, რაც არის. ერთხელ დათო ზურაბიშვილმა, რომელიც კარგად იცნობს ბოკერიას, მისი პორტრეტი დახატა. ეს ის შემთხვევაა, როცა ყოველი მისი გამოსვლა იმის შეხსენებაა, რომ ისინი დამნაშავეები არიან. უიმედო თამაშია. მათი შანსები ნულის ტოლია.

*– თუ ნორმალური ვითარება იქნება, ახალი პოლიტიკური ძალები არ გამოჩნდებიან?*

– თუ ეკონომიკური კოლაფსი არ იქნება და ქვეყანა ნორმალურად განვითარდება, თანდათან შეიძლება, გამოჩნდნენ უცნობი ახალი სახეები, ახალი დაჯგუფებები. ეს ბუნებრივი პროცესია. თუ კოლაფსი იქნება, მაშინ გამოჩნდება პოპულისტი და დემაგოგი. თუ პოპულისტი და დემაგოგი გამოჩნდება, მაშინ ყველა ჩამოთვლილი ადამიანი შეიძლება დასაქმდეს. გაიხსენეთ სააკაშვილის გამოჩენა. მაშინ რესპუბლიკელები სად იყვნენ და სააკაშვილთან ერთად შევიდნენ პარლამენტში.

რესპუბლიკელები ასეთ ვითარებებში ახტებიან ხოლმე პოლიტიკური მატარებლის ვაგონში. ჩემთვის უთქვამთ, სჯობს, შიგნით შემოიყვანო, თორემ იმხელა ენას გადმოაგდებენ, დაიწყებენ ჩვენს კრიტიკასო. პარტიას, რომელიც 2%-ს ვერ აგროვებს, აქვს შანსი, ახტეს იმ ვაგონში, რომელიც ლოკომოტივს მიჰყავს.

იგივე იყო ივანიშვილის შემთხვევაშიც. ივანიშვილი ნამდვილად არ არის პოპულისტი და დემაგოგი, ნამდვილად ჰქონდა საერთო-სახალხო მხარდაჭერა 2011 წელს, როცა პოლიტიკაში შემოსვლა გამოაცხადა. მაშინ ივანიშვილს კონკრეტული ადამიანები ურჩევდნენ, რესპუბლიკელები და ალასანია შემოვიყვანოთ, თორემ იტყვიან, პროდასავლური ძალა არ ვართო. თავიდან უცხო სხეულები იყვნენ, მაგრამ პარლამენტში შეიყვანეს და მინისტრების სავარძლები მისცეს.

*– თუმცა ახლა რესპუბლიკურ პარტიას დიდი ზიანი მიადგა, ძალიან დიდი ძალა პოლიტიკოსებისა წამოვიდა პარტიიდან. მგონი, მხოლოდ ბერძენიშვილები დარჩნენ.*

– კიდევ დარჩნენ, მაგრამ ფრიდონ საყვარელიძეც კი წამოვიდა პარტიიდან. რესპუბლიკელების რეიტინგი ნულის ტოლია.

# რაში იღებს კახეთის საოლქო პროკურორი პრეზიდენტსა და პრემიერზე ბევრად მაღალ გასამრჯელოს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ვლით, 10 თვეში 6 გახმაურებული მკვლელობა მარტო თელავში მოხდა. მოკლეს ყოფილი და მოქმედი პოლიციელებიც, 30 წლის ახალგაზრდა მოკლა პოლიციელმაც.

ამ დრომდე გაუხსნელია 35 წლის არჩილ მაისურაძის, მეტსახელად „სტარიჩოკას“ მკვლელობის საქმე. ის 2014 წლის 14 ივნისს, დაახლოებით 24:00 საათისთვის, ქალაქ თელავის ცენტრში, ერეკლე მეორის გამზირზე ჩაცხრილეს.

კახეთის საოლქო პროკურატურის მიერ ასევე გამოუძიებელია საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში 30 წლის ხანუმ ჯეირანოვას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმე. 30 წლის ქალი მეუღლის ნათესავებმა დაიჭირეს, ქმრის ღალატი დააბრალეს, ფეხსაცმელი, წინდები გახადეს და სოფელ ლამბალოში ჩამოატარეს, „უნამუსოაო“. თვითმხილველების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცები ქალს აგინებდნენ და სცემდნენ კიდეც.

საოლქო პროკურატურას ამ დრომდე არ დაუდგენია ბოლო პერიოდში რეინჯერებზე განხორციელებულ გახმაურებულ თავდასხმებში მონაწილე პირების ვინაობა.

საოლქო პროკურატურის მიერ არ არის გამოძიებული რეგიონში პოლიციის უფროსების ან თანამშრომლების მიერ მოქალაქეების ცემის, არაადამიანური მოპყრობის, ეთნიკურ ნიადაგზე შეურაცხყოფის არცერთი ფაქტი.

◆ ◆ ◆

სახელმწიფოსგან მორალური და მატერიალური კომპენსაციის სახით 70 ათასი ლარის გადახდას ითხოვს კახეთის გუბერნატორის ყოფილი პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი.

ამ მოთხოვნით მან თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. სიბაშვილს ბრალი 2013 წლის 30 იანვარს წაუყენეს. თელავის სასამართლო მის საქმეს 2 წლის განმავლობაში იხილავდა.

პროკურატურა სიბაშვილს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისება-გაფლანგვაში ადანაშაულებდა. საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა 2014 წლის 23 სექტემბერს დასრულდა. განაჩენის გამოტანამდე დარჩენილი იყო მხოლოდ მხარეების მიერ დასკვნითი სიტყვის წარდგენა და კამათი, თუმცა საოლქო პროკურატურის პროკურორი გიორგი ლილუაშვილი პროცესებზე აღარ ცხადდებოდა, რის გამოც სასამართლო პროცესი 16-ჯერ გადაიდო.

მოსამართლემ რამდენჯერმე მისწერა საოლქო პროკურატურას, რომ პროკურორი პროცესებზე გამოცხადებულიყო. 2015 წლის 11 მარტს მოსამართლე მამუკა წიკლაურმა გიორგი სიბაშვილი წარდგენილ ბრალდებაში, ხუთივე ეპიზოდში სრულად გაამართლა.

განაჩენი ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დემურ გიორხელიძე: „ეროვნული ბანკის პოლიტიკა გაუგონარია“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ლარის კურსის ყოველდღიური რყევების სტაბილიზაცია შესაძლებელია.

***– ბატონო დემურ, ლარის კურსის ასეთი სწრაფი გაუფასურება არჩევნების შემდეგ რას უკავშირდება?***

– ლარის კურსის ასეთი რყევები არანაირ კავშირში არ არის არჩევნებთან.

***– თუმცა, რიგით მოქალაქეს ვერ დააჯერებთ, რომ წინასაარჩევნოდ ხელოვნურად იყო ეს პროცესი შეჩერებული. ფაქტია, კურსი ასე არ იყო გაქცეული.***

– რა მნიშვნელობა აქვს ამას. მთავარი ის არის, რომ ლარს ფუნდამენტური პრობლემები გააჩნია.

***– რა არის ეს პრობლემები?***

– მთავარი პრობლემები საქართველოს ეკონომიკაშია, ასევე – იმ გაუმართლებელ და არარსებულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც მთავრობისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკას მკაცრად განსაზღვრავს. სუსტი ეკონომიკა პლუს არასწორი პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, იძლევა იმას, რომ გარკვეული წრეები შესანიშნავად სარგებლობენ ამ უკონტროლობით და საკმაოდ დიდი ფულსაც აკეთებენ. ამიტომ ვამბობ, რომ არჩევნები აქ არაფერ შუაშია, მით უფრო – ლარის კურსთან.



***– გამოსავალი თუ არსებობს და სად არის?***

– რასაკვირველია, გამოსავალი არსებობს და ძალიან მარტივიც არის ამის მიგნება. მთავარია სერიოზული და პროფესიონალური მიდგომები.

***– კონკრეტულად რა ნაბიჯი უნდა გადადგას მთავრობამ ლარის სტაბილიზაციისთვის?***

– საჭიროა განვითარებაზე ორიენტირებული, რეალური დეტალურად გაწერილი საშინაო და განსაკუთრებით მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკის სწრაფ ზრდაზე. მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი სწრაფი ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს.

ქართული ეკონომიკის სტრუქტურა დეფორმირებულია, რაც ხელს უშლის ეკონომიკის ზრდას. ლარის „აღმა-დაღმა ხეტიალი“ არსებული მცდარი პოლიტიკის შედეგიც არის. ამას ძალიან სერიოზული, ფუნდამენტური პრობლემები და კიდევ უფრო მეტი სუბიექტური მიზეზები განაპირობებს.

***– კონკრეტულად რა?***

– ლარის კურსის სტაბილიზაციისთვის საინტერესოა, ეროვნული ბანკი შეძლებს თუ არა სავალუტო დერეფნის დაწესებას თუ ისევ კრიტიკულ მოსაზრებებს მოვისმენთ, რომ ეროვნული ბანკი არ ერევა ლარის კურსის ფორმირებაში და ამას ბაზარი არეგულირებს.

სწორედ ასეთი იდიოტური აზროვნება განაპირობებს იმას, რომ ბლუმბერგზე 2-3 ქართული ბანკი ვაჭრობს და საქართველოს ეროვნული ბანკი დღის განმავლობაში განხორციელებული ტრანსაქციების რაოდენობიდან და თითოეულ ტრანსაქციაში დაფიქსირებული კურსის შეკრებითა და საშუალო არითმეტიკით არის დაკავებული და მხოლოდ პოსტფაქტუმ კურსის დადგენით შემოიფარგლება.

კომერციული ბანკების ინტერესებს დაქვემდებარებული ეროვნული ბანკი ყოველთვის იქნება წყარო იმ ძარცვის მექანიზმისა, რომელსაც ლარის გაცვლითი კურსის გაუგონარი ამპლიტუდითა და ძალიან მაღალი სიხშირით რხევები იწვევს. შექმნილ სიტუაციაში ლარის კურსის დაჭერა ახალ დონეზე უნდა მომხდარიყო. ეს არის ერთადერთი სწორი პოლიტიკა, ამის სანაცვლოდ კი გვესმის – „დაეცა, მაგრამ მალე გამყარდება“.

***– არ მოგწონთ ეროვნული ბანკის მოქმედება?***

– ეროვნული ბანკის პოლიტიკა აბსოლუტურად გაუგონარია, მეტიც, გაუმართლებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკია დამნაშავე. ეროვნული ბანკი აკეთებს იმას, რასაც საჭიროდ თვლის. არ არის კანონის დონეზე დადგენილი ფულადსაკრედიტო პოლიტიკის პარამეტრები. ის არასწორ აქცენტებს აკეთებს და შედეგიც სახეზეა. ის ან შეგნებულად აკეთებს ამ სისულელეს, ან ეს პროფესიული დეფიციტის ბრალია.

***– ბატონო დემურ, რეალურ შესაძლებლობას თუ ხედავთ, რომ ლარის კურსი სტაბილური გახდეს და არ იყოს ყოველდღიური რყევები?***

– რა თქმა უნდა, სტაბილიზაციის რეალური შესაძლებლობა არსებობს. აქ არ არის უაზრო გამყარებაზე საუბარი. კურსს გამყარება არ სჭირდება. მას სჭირდება გარკვეული პერიოდით წონასწორულ მდგომარეობაზე გაჩერება, მცირე რყევებით.

# „გვინდოდა, ისეთი საქმე გვეკეთებინა, რომელიც სიამოვნებასაც მოგვანიჭებდა და შემოსავალიც გვექნებოდა“

## „შერლოკ ჰოლმსის“ მოტივებზე შექმნილი ბიზნესი



ხელით მოხატული ნივთები მომრავლდა, თუმცა ხარისხის გაუმჯობესებასა და სიახლეებზე ცოტა მათგანია ორიენტირებული.

ახალგაზრდა ბიზნესმენების, სტუდენტების სალომე წიქარიძისა და მარიამ ალთუნაშვილის მიერ 2014 წელს დაფუძნებული „მორიარტი“ მომხმარებელს ლამაზ და საინტერესო პროდუქციას სთავაზობს.

„მორიარტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მათ პროდუქციაში საკუთარი ხელწერა იგრძნობა და ისინი ამით გამორჩეულები არიან.

***– „მორიარტის“ შექმნის იდეა როდის გაგიჩნდათ, თავიდან საიდან ყიდდით ნივთებს?***

– „მორიარტის“ შექმნის იდეა ორი წლის წინ მე და მარიამს გაგვიჩნდა. იმ პერიოდში უნივერსიტეტში ერთად ვაბარებდით და გვინდოდა, პარალელურად ისეთი საქმე გვეკეთებინა, რომელიც სიამოვნებასაც მოგვანიჭებდა და შემოსავალიც გვექნებოდა. ასეთი მაისურებზე ხატვა აღმოჩნდა, რაც იმ პერიოდში ახალი ხილი იყო. შეკვეთებს ონლაინში ვახორციელებდით და შემდგომ კლიენტებს ნივთების გადასაცემად სხვადასხვა ადგილზე ვხვდებოდით.

***– თავდაპირველად რა ნივთებს ყიდდით?***

– თავდაპირველად საცდელად 10 მაისური მოვხატეთ და გამოფენა-გაყიდვა მოვაწყვეთ, შემდეგ ფეისბუქზე დავიწყეთ აქტიურობა. მახსოვს, პირველივე კლიენტმა სამი მაისურის შეკვეთა მოგვცა, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმულის მომცემი აღმოჩნდა.

ოფისი ამ ეტაპზე არ გვაქვს და შეკვეთებს კვლავ ფეისბუქის გვერდის საშუალებით ვახორციელებთ. ჩვენ აკრილის საღებავებს ვიყენებთ.

***– როდის და რატომ შეარჩიეთ სახელწოდება „მორიარტი“?***

– სახელზე ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, საბოლოოდ კი „მორიარტი“ შევარჩიეთ, რომელსაც ჩვენთვის სიმბოლური დატვირთვა აქვს. პირველ რიგში, ჯიმ მორიარტი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი წიგნიდან „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“, რომლის მიმართაც განსაკუთრებული სიმპათიები გვაქვს. ასევე გვიყვარს დინ მორიარტი, პერსონაჟი ჯეკ კერუაკის რომანიდან „გზაზე“. გარდა ამისა, სიტყვაში გვხვდება „არტ“ ანუ ხელოვნება, რაც ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. რაც მთავარია, ჟღერადობაც კარგი, მარტივი და დასამახსოვრებელი აქვს.

***– ბოლო პერიოდში თბილისში მსგავსი პროდუქტების რაოდენობამ იმატა. რითია გამორჩეული „მორიარტი“ სხვებისგან?***

– მართალია, თანდათან უფრო და უფრო მეტი მსგავსი პროდუქტი ჩნდება და კონკურენციაც იზრდება. ჩვენ თავიდანვე შევეცადეთ, გვქონოდა ისეთი ნიშა, რომელიც სხვებისგან გამოგვარჩევდა. რეალობა იყო ის, რომ არსებობდა კარგი ხარისხის პროდუქტები შესანიშნავი ნახატებით და ძალიან ძვირი ღირდა ან არსებობდა იაფიან მაისურებზე შესრულებული საშუალო დონის ნამუშევრები, რაც ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო.

გადავწყვიტეთ, გვეპოვა შუალედი და კარგი ხარისხის მაისურებზე ასევე ხარისხიანი ნახატებით შესრულებული პროდუქცია მეტ-ნაკლებად ყველასთვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა. მომხმარებელს სიახლეებსაც ვთავაზობდით, გვქონდა ხელით მოხატული ჭურჭელი და მობილურის ქეისები. ყველაზე მეტად მაინც ილუსტრირებულმა ფოტოებმა ანუ პოსტერებმა მოგვიტანა წარმატება. დროთა განმავლობაში შეკვეთები იმდენად გაიზარდა, რომ კიდევ ერთი ადამიანი დავასაქმეთ. ეს სიახლე ხალხისთვის უფრო ინოვაციური, სიმბოლური და ორიგინალური საჩუქრის იდეა გახდა.

***– ილუსტრირებულ ფოტოებზე უფრო დეტალურად გვიამბეთ.***

– მომხმარებლები გზავნიან ფოტოს, ჩვენ კი მას ილუსტრაციად ვაქცევთ, შემდგომ ვბეჭდავთ და ჩარჩოში ჩასმულს უკან გადავცემთ. ილუსტრაციის ფონზე უამრავი სიმბოლოს გამოყენება შეიძლება, იქნება ეს ადრესატის საყვარელი სიმღერა, წიგნი, ქალაქი თუ სხვა. დასრულების შემდეგ ნებისმიერი დეტალის რედაქტირება და სურვილისამებრ შეცვლა შეიძლება. საბოლოო ჯამში, კლიენტი თვითონ იღებს მონაწილეობას ილუსტრაციის შექმნაში და ადრესატს სიმბოლურ, ორიგინალურ და დასამახსოვრებელ საჩუქარს ჩუქნის.

***– რამდენად ხელმისაწვდომია „მორიარტის“ ფასები?***

– ფასები ყველა სეგმენტს ერგება, რადგან კონკრეტული პროდუქტის, მაგალითად, ხელით მოხატული მაისურის ფასი შეიძლება იყოს ძალიან იაფიც და, პირიქით, ძვირიც. პროდუქტის ფასი ნახატისა და შეკვეთის სირთულეზეა დამოკიდებული. რაც შეეხება პოსტერებს, აქ უკვე ფასები ზომების მიხედვითაა განსაზღვრული. ყველაზე პატარა, ა3 ფორმატის, 55 ლარი ღირს. ზომის ზრდასთან ერთად ფასიც იზრდება.

***– ლარის გაუფასურება თქვენს ბიზნესზე რა გავლენას ახდენს?***

– ჩვენი შეკვეთები ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება, ამიტომ გაყიდვებისა და უკეთესი შედეგებისთვის აუცილებელია სოციალურ ქსელში რეკლამა. ლარის გაუფასურება ჩვენზე გავლენას ახდენს და რეკლამის ხარჯებს ბევრად გვიზრდის.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**

# თამარ დავითინიძე: „ხელოვნება რომ ბიზნესად აქციო, შენი შექმნილი ხელოვნების ნიმუშები ჯერ ხალხმა უნდა ნახოს“



თამარ დავითინიძე პროფესიით მუსიკოსია, მუშაობდა სკოლაში, თუმცა შემდგომ გადაწყვიტა, ბედი სხვა სფეროშიც ეცადა და დაიწყო ჯერ ხატვა, შემდგომ – გაზეთებისგან ნივთების, აქსესუარების შექმნა.

დღეს ის უკვე გამოფენასაც გეგმავს.

საკუთარ საქმიანობასა და გეგმებზე თამარ დავითინიძემ რადიო „კომერსანტის“ გადაცემა არტბიზნესში ისაუბრა.

***– როდის დაიწყეთ გაზეთებისგან ნივთების დამზადება?***

– მთელი ცხოვრება ვემსახურები ხელოვნებას, დავამთავრე მუსიკალური ტექნიკური, ვმუშაობდი სკოლაში სიმღერის მასწავლებლად. ახლა უმუშევარი ვარ და ძალიან მიჭირს უსაქმოდ გაჩერება. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ეს დანაკლისი შემევსო და სხვადასხვა ნივთის დამზადება დავიწყე.

ყოველთვის მინდოდა, მეცადა დახატვა. ბოლოს მოხდა სასწაული და მეც დავიწყე ხატვა, მაგრამ ამანაც არ დამაკმაყოფილა და კომპიუტერის საშუალებით ვნახე, გაზეთებისგან როგორ მზადდებოდა სხვადასხვა ნივთი და დავიწყე ამაზე მუშაობა. ახლა ძალიან ბევრი აქსესუარი მაქვს გაკეთებული და მინდა გამოფენის მოწყობა, რათა საზოგადოებამ უკეთესად გამიცნოს.

***– ძირითადად რა ნივთები გაქვთ გაკეთებული და რამდენად შრომატევადია თქვენი საქმიანობა?***

– ძალიან რთულია, მაგრამ ისეთ სიამოვნებას მანიჭებს ეს ყველაფერი, რომ არ ვიღლები. გაკეთებული მაქვს ძალიან ბევრი კალათა, ყუთი, ფეხსაცმელი აქსესუარების სახით და ა.შ.

***– გეგმავთ თუ არა თქვენი პროდუქციის რეალიზებას და ამას როგორ აპირებთ?***

– მინდა, მოვაწყო გამოფენა და აქაც შეიძლება გაიყიდოს ჩემ მიერ დამზადებული ნივთები. თუ იქნება საშუალება, საიტზე განთავსებაც შეიძლება და, რამდენად მოეწონებათ, ეს უკვე ხალხზეა დამოკიდებული.

***– თქვენს მეგობრებსა და ახლობლებს თუ მოსწონთ შექმნილი ნივთები და იქნება თუ არა ისინი მოთხოვნადი თუნდაც ახალგაზრდების მხრიდან?***

– ერთია, რომ აკეთებ ნივთებს და მეორეა, რომ შენი გაკეთებული სხვებსაც მოსწონთ. ჩემ ირგვლივ ყველას მოსწონს.

***– რა სჭირდება არტს იმისთვის, რომ ბიზნესად იქცეს?***

– ხელოვნება რომ ბიზნესად აქციო, პირველ რიგში, შენი შექმნილი ხელოვნების ნიმუშები ხალხმა უნდა ნახოს.

**კომერსანტ.გე**

# დავით ნარმანია: „800 მილიონზე ნაკლები ბიუჯეტი არ გვექნება“



თბილისის მერი დავით ნარმანია ვარაუდობს, რომ მომავალ წელს დედაქალაქს 800 მილიონზე ნაკლები ბიუჯეტი არ ექნება.

– მიმდინარე კვირის განმავლობაში ძალიან ინტენსიურად ვიმუშავებთ 2017 წლის ბიუჯეტის პარამეტრების დაზუსტებაზე და, გარდა ამისა, პროგრამული ნაწილი, როგორიც უკვე სამსახურებისა და გამგეობების მიერ არის წარმოდგენილი, იქნება დახვეწილი, ერთიან ფორმატში მოქცეული.

რასაკვირველია, გვაქვს პირველადი ვარიანტი 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა, თუმცა საშემოსავლო ნაწილის დაზუსტებას ველოდებით და კიდევ უფრო მეტად გაზრდას საშემოსავლო ნაწილისა, რაც შემდეგ საშუალებას მოგვცემს, რომ უფრო მეტი პროექტი და პროგრამა დავგეგმოთ. მე ვფიქრობ, რომ წელსაც ჩვენ 800 მილიონზე ნაკლები ბიუჯეტი არ გვექნება, – განუცხადა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს.

**მედიანიუსი**

# „ყველაფერი ორი წლის წინ დაიწყო“

## დედის სასტიკი მკვლელობა და უცნობი ფაქტები

გუშინ, 6 ნოემბერს, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ხუთივე პირს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა ნიკა სადრაძემ განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი არ არის ბრალდებული მკვლელობაში, არამედ ბრალდებულია დანაშაულის შეუტყობინებლობაში. შესაბამისად, ის აღნიშნულ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

ადვოკატის თქმით, პროკურატურის მხრიდან იყო დაუსაბუთებელი შუამდგომლობა და არ არსებობდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის არც მიმალვისა და არც მტკიცებულებების განადგურების საფრთხე.

შემდეგი სასამართლო პროცესი 8 დეკემბერს გაიმართება.

* * *

– ბრალდებულთაგან ერთ-ერთმა გარდაცვლილის სხეულის დანაწევრების შემდეგ მისი სხეულის ნაწილები შეჭამა, რასაც თავად ადასტურებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ განუცხადა.

მისი თქმით, დანაშაული სამმა ბრალდებულმა აღიარა. ასევე იმან, ვინც გარდაცვლილი შეჭამა, აღიარა ფაქტი.

სხდომის დაწყებამდე კომენტარი გააკეთა ერთ-ერთი პირის ადვოკატმა, რომლის დაცვის ქვეშ მყოფი დანაშაულის შეუტყობინებლობაშია ბრალდებული.

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ბრალეულობა საქმეში არ იკვეთება. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების სახედ დღეს გირაოს მოითხოვენ.

* * *

თბილისში გაბრიელ სალოსის ქუჩის მცხოვრებლები პანიკამ მოიცვა. მიზეზი დაახლოებით სამი კვირის წინ მომხდარი უსასტიკესი მკვლელობაა. გამოძიების ინფორმაციით, 18 წლის გოგომ, არასრულწლოვანი მეგობრისა და 23 წლის მეგობარი მამაკაცის დახმარებით, გამზრდელი დედა, 76 წლის ლუბა ყოჩიაშვილი ელექტროშოკით გათიშა, შემდეგ გვამი დანით დაანაწევრა და ნაგავსაყრელზე დაწვა.

პოლიციის ცნობით, მკვლელობა 19 ოქტომბერს, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის თანახმად მოხდა. მომხდარს წინ უძღოდა დედაშვილს, ირმა (მარიამ) ყოჩიაშვილსა და ლუბა ყოჩიაშვილს შორის წარმოქმნილი უთანხმოება.

როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი ჯერ ელექტროშოკით გათიშეს, ხოლო შემდგომ გაგუდეს და დანით მოკლეს.

ბრალდებულებმა გარდაცვლილის ცხედარი დიდი ზომის ჩანთაში მოათავსეს და თბილისში, 23 წლის ბექა შენგელიას მიერ ნაქირავებ ბინაში გადაიტანეს, სადაც გვამი დაანაწევრეს.

მკვლელობა კანიბალიზმის ნიშნებს შეიცავს.

როგორ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, ნიუპოსტისთვის არაოფიციალურად ცნობილი გახდა, რომ დაკავებულებმა სამართალდამცავებთან დეტალურად გაიხსენეს შემზარავი ფაქტი. არაოფიციალური ინფორმაციით, დაკავებულები უტიფრად ყვებიან, თუ როგორ მოაჭრეს ქალს თავი და იატაკზე აგორავეს, შინაგანი ორგანოები კი მოხარშეს და შეჭამეს. ცნობისთვის, მედიამ დააფიქსირა, თუ როგორ მიიტანეს საგამოძიებო ორგანოში დალუქულ მდგომარეობაში სამზარეულოს ნივთები.




იყო თუ არა 18 წლის ახალგაზრდა სექტის წევრი, ამაზე, ალბათ, გამოძიება გასცემს პასუხს. ჩვენი ინფორმაციით, მარიამ ყოჩიაშვილის შეყვარებული 23 წლის ბექა შენგელიაა, სექტანტური დაჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მკვლელობაში ბრალდებულთა შორის კიდევ ერთი გოგონაა, ნინა ჩ. რომელიც სოციალურ ქსელში ნინა გოთესის სახელითაა ცნობილი.

შემზარავი ფაქტის შემდეგ თბილისის რამდენიმე უბანში და გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სამართალდამცავთა აქტიური პატრულირება შეინიშნება.

როგორც ნიუპოსტს ადგილობრივები უყვებიან, გვიან საღამოს რამდენიმე ახალგაზრდა გააჩერეს და საბუთები მოსთხოვეს. მოსახლეობა შს სამინისტროსგან დამნაშავეთა წრის ბოლომდე გამოვლენას მოითხოვს.

ნიუპოსტმა ყოჩიაშვილების ოჯახის შესახებ რამდენიმე დეტალი შეიტყო.

– ამ უბანში დავბერდი და მსგავსი სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის შესახებ პირველად გავიგე. თუ სექტაა, მაშინ ამ ავაზაკებს მიმდევრები ეყოლებათ, ამიტომ ბავშვებს ქუჩაში გასვლა ავუკრძალეთ... როგორ გაიმეტა გამზრდელი დედა, რომელიც ცივ ნიავს არ აკარებდა, ასეთი სისასტიკისთვის. დაუცველობის გრძნობა გვაქვს, კარგია, რომ პატრულირებენ, თუმცა გამოძიება ბოლომდე უნდა წარიმართოს, – აცხადებს ლუბა ყოჩიაშვილის მეზობელი, რომელიც ვინაობის გამხელას მოერიდა.

ის ამბობს, რომ ყოჩიაშვილები ბუნებით მშვიდი პიროვნებები იყვნენ და მათი სახლიდან ხმაური თითქმის არასდროს გამოდიოდა, ყველაფერი კი ორი წლის წინ შეიცვალა, როცა გოგონამ გამოაცხადა, რომ სკოლაში სიარული აღარ უნდოდა და ჭრელი სამოსი შავით ჩაანაცვლა.

– ოჯახს წლების წინ დიდი ტრაგედია აქვს გადატანილი, 22 წლის გოგონა მძიმე ავადმყოფობით გარდაეცვალათ, შუახნის ცოლ-ქმარმა შვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ბავშვი აიყვანა, რომელსაც გარდაცვლილი შვილის სახელი, ირმა დაარქვეს. ყველაფერი კარგად მიდიოდა, გოგონა იზრდებოდა, კარგი აკადემიური მოსწრება ჰქონდა, სკოლაში ლუბას მიჰყავდა და უკანაც დედას გამოჰყავდა. ხელიხელჩაკიდებულები ხშირად გვინახავს. ზოგადად დიდი ურთიერთობების მოყვარული არც ლუბა იყო, ზრდილობიანი არისტოკრატი ქალი იყო, მოგვესალმებოდა და ბავშვი სახლში აჰყავდა. სიმართლე გითხრათ, გარეთ იშვიათად ვხედავდით, – იხსენებს მოკლულის მეზობელი.

ყველაფერი ორი წლის წინ შეიცვალა, როცა ამ გოგომ სხეულზე ტატუ გაიკეთა, თავი გადაიპარსა და გვიან დაიწყო სახლში მოსვლა. დედ-მამა 80 წელს მიტანებულები არიან და, ალბათ, აბუჩად იგდებდა. მეზობლები იხსენებდნენ, რომ მამა ხშირად ეჩხუბებოდა მისი უცნაური საქციელის გამო.

– ალბათ, მასაც მოკლავდა, კაცი რომ სამსახურში არ ყოფილიყო. ყველას გაგვიკვირდა, რომ გავიგეთ, ლუბა დაიკარგაო. გაგებული გვქონდა, რომ მძიმე ოპერაცია ჰქონდა გადატანილი და ლოგინიდან საერთოდ ვერ დგებოდა. ქმარსაც უკვირდა, ტელეფონზე უსაუბრიათ მკვლელობის დღეს, განცხადება გაუკეთებიათ პოლიციაში, სამართალდამცავებს სათვალთვალო კამერები შეუმოწმებიათ, რითაც დაადგინეს, რომ ლუბას ტერიტორია არ დაუტოვებია, მერე ეს გოგო დაიბარეს, ამბობენ, პირველივე დაკითხვაზე აღიარა ყველაფერი და თანამონაწილეებიც დაასახელაო, – აცხადებს მოკლულის მეზობელი.

ის ჩვენთან საუბრისას კანიბალიზმის საკითხსაც შეეხო.

– შვილო, რა არის გასაკვირი? დედას რომ მოკლავ და დაწვავ, არ ხარ ნორმალური... მე მაინც სექტა მგონია რაღაც, ამიტომ არაფერს გამოვრიცხავ, – აცხადებს ნიუპოსტის რესპონდენტი.

ჩვენ ქალს დაკავებულების ფოტოებიც ვანახეთ, თუმცა თქვა, რომ მათი ამოცნობა გაუჭირდება.

– ბოლოს თვითონ მარიამსაც ველარ ვცნობდით, ტატუ სახეზეც კი ჰქონდა და იმიჯს ხშირად იცვლიდა... რაც შემიძლია გითხრათ, აქ ახლოს პარკია და იქ გვიან ყველას უნახავს, ეს გოგო თავის მეგობრებთან როგორ ყვიროდა და ალკოჰოლს სვამდა, – უთხრა ნიუპოსტს ადგილობრივმა.

* * *

თბილისში მომხდარ სასტიკ მკვლელობაში ბრალდებულების საქმესთან დაკავშირებით „კვირისთვის“ დამატებითი დეტალები გახდა ცნობილი.

არასრულწლოვანი, რომელიც დუმილის უფლებას იყენებს, ნინა ჩ-ძე, დაპატიმრებამდე ოთხი დღის ადრე ნაცნობებს ტელეფონით დაუკავშირდა.

ის რამდენიმე პირთან ერთად ფართის ქირაობას ითხოვდა.

– ოთხი დღის წინ დამირეკა. მარტო მინდა საცხოვრებლად გადავიდე, ბინა არ მინდა, უფრო სარდაფს ვეძებო. ფართი, რომელიც შევთავაზე, საკმაოდ ძვირი იყო. არა უშავს, მეგობრებთან ერთად ვაპირებ ფართის დაქირავებასო, მითხრა და ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა, – იხსენებს მისი ნაცნობი.

„კვირის“ ინფორმაციით, ნინა ჩ.-მ წელს ეროვნული გამოცდები ვერ ჩააბარა. იგი ცნობილი დრამატურგის ოჯახში გაიზარდა. „კვირა“ მის ვინაობას არ ამხელს. დრამატურგს ამ თემაზე საუბარი არ სურს. აღსანიშნავია, რომ ის ერთ-ერთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს კითხულობს.

სწავლის პარალელურად, ნინა ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებოდა და თბილისში ერთ-ერთი თეატრალური დასის წევრი იყო. სხვადასხვა სპექტაკლში სხვადასხვა როლს თამაშობდა, წელს, მაის-ივნისში, სპექტაკლ „მექანიკურ ფორთოხალში“ ერთ-ერთი მთავარი როლიც შეასრულა.

– ნინამ ორი კვირის წინ დამირეკა. გამოცდები ვერ ჩააბარა. უამრავი დრო მაქვს და თეატრში დავბრუნდებიო. უნიჭიერესია ნინა, თავისებური ბავშვია, განსხვავებული მსოფლმხედველობით. გამორჩეული იყო. ყოველთვის გემოვნებიან მუსიკას უსმენდა. გადასარევად ხატავდა. სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების მიმართულებით სწავლის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ ვერ ჩააბარა.

ახალ სპექტაკლ „რიჩარდ III-ზე“ ვმუშაობ, იქ სამხატვრო დეკორაციები ნინას უნდა შეექმნა. რამდენიმე სპექტაკლში თამაშობდა და თან კარგად. ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ ნინას მშობლებიც გავიცანი. ისინი წარმოდგენას დარბაზიდან უყურებდნენ. მამობილი ცნობილი დრამატურგია. ერთხელ ნინას მეგობარი ახლდა. გამაცნო, მეტსახელი ერქვა გოთი ( 23 წლის ბექა შენგელია).

არ მომეწონა ის ახალგაზრდა, მაგრამ არ მითქვამს ნინასთვის. ბიჭი უცხო საზოგადოებაში ზედმეტად თამამად იქცეოდა, ცოტა თავხედურადაც. ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება, თუმცა ეს ნინასთვის არ მითქვამს. ის ისეთი მგრძნობიარე იყო, რომ შეიძლება სწყენოდა, – გვითხრა რეჟისორმა.

* * *

საქმის კიდევ ერთი ბრალდებულის, ირმა ყოჩიაშვილის შესახებ კი ისაა ცნობილი, რომ მან თბილისის 124-ე საჯარო სკოლა დაასრულა. იგი კლასის ბანკეტს არ დასწრებია. ირმა ყოჩიაშვილმა მთელი სასწავლო პროცესი ამ სკოლაში გაატარა. დაწყებითი კლასის პედაგოგი „კვირასთან“ ამჟამინდელ ბრალდებულს იხსენებს.

– ოჯახს 22 წლის გოგონა გარდაეცვალა. ის მძიმე სენით იყო დაავადებული. გოგო უნიჭიერესი და ძალიან ჭკვიანი ყოფილა. ამის შემდეგ ოჯახმა ირმა შვილად აიყვანა ზრდიდა. ირმას პირველი კლასიდან ვასწავლიდი. დედამ თავისი ტრაგედიის შესახებ მიამბო. ირმას მშობლები სკოლაში ხშირად აკითხავდნენ. განსაკუთრებული მშობლები იყვნენ, სულ თან დასდევდნენ, ხან დედა, ხან მამა მოდიოდა და სკოლიდან მიჰყავდათ.

მამა 31-ე ქარხანაში მუშაობდა. ირმა წყნარი და უკონტაქტო ბავშვი იყო, კლასში მხოლოდ ერთი მეგობარი ჰყავდა, დანარჩენებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე საგანი განსაკუთრებულად უყვარდა. ყოველთვის მომზადებული იყო და გონიერი მოსწავლე გახლდათ. მას მხოლოდ მე-4 კლასამდე ვასწავლიდი, – ამბობს ირმა (მარი) ყოჩიაშვილის დაწყებითი კლასის პედაგოგი.

* * *

ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქმეს დართული აქვს ფოტოსურათები, რომლებსაც ბრალდებულები დანაშაულის ჩადენის დროს მობილური ტელეფონით იღებდნენ.

ერთ-ერთი ბრალდებულის, რომელსაც ბრალად დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება, ადვოკატი აცხადებს, რომ საქმეში, სავარაუდოდ, დევს ვიდეოჩანაწერიც, რომელიც, არსებული ინფორმაციით, გადაღებულია დანაშაულის ჩადენის მომენტში.

76 წლის ლუბა ყოჩიაშვილის მეუღლის ომარ ყოჩიაშვილის განცხადებით, დედა-შვილს შორის უთანხმოება ძირითადად ვარცხნილობასა და ჩაცმის სტილზე იყო.

ინტერპრესნიუსთან საუბარში ომარ ყოჩიაშვილი აცხადებს, რომ შვილთან თბილი, მამაშვილური ურთიერთობა ჰქონდა.

– უთანხმოება იყო ვარცხნილობასთან დაკავშირებით, ჩაცმის სტილზე, სხვა ისეთი არაფერი ყოფილა. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ის შესაფერისად არ იცვამდა. მისი პოზიცია იყო, ტყუილად ნუ მელაპარაკები, მაინც არ გისმენო, – განაცხადა ომარ ყოჩიაშვილმა.

კითხვაზე, იცნობს თუ არ მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულ დანარჩენ პირებს, ომარ ყოჩიაშვილი აცხადებს, რომ მათ არ იცნობს.

– მე სამსახურში ვიყავი, როცა ეს მოხდა. როდესაც მოვედი სახლში და ჩემი მეუღლე არ დამხვდა, განვაცხადე პოლიციაში. ვერც წარმომედგინა, ეს თუ მოხდებოდა, – განაცხადა ყოჩიაშვილმა.

## სანდრო კაკულიას ძმა წავკისში გარდაცვლილი იპოვეს

წავკისში გუშინ ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვლილი მსახიობ სანდრო კაკულიას (სანდრექსას) ძმა, ირაკლი კაკულიაა.

## შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით სამი პირი დააკავა




სამართალდამცველებმა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით თბილისში მდებარე სასტუმროს, ბარებისა და ჩინური მასაჟის სალონის ადმინისტრატორები დააკავეს.

დაკავებულები არიან: 1975 წელს დაბადებული ა.ნ., 1967 წელს დაბადებული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ი.ვ. და 1958 წელს დაბადებული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე გ.ვ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდნენ.

სამართალდამცველებმა სასტუმროებში მომუშავე პერსონალი მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლით).

## ქუთაისში 45 წლამდე მამაკაცი მოკლეს

ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, 45 წლამდე მამაკაცი მოკლეს.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. მას ორი ჭრილობა აქვს მიყენებული.

თვითმხილველების თქმით, მამაკაცი ლომბარდში მუშაობდა და სახლში ბრუნდებოდა, როდესაც მას უცნობმა პირმა ესროლა.

– პოლიეთილენის პარკით საჭმელი მიჰქონდა და უცებ ვიღაც მამაკაცი მოახტა ზურგზე. თავიდან წინააღმდეგობა გაუწია, შემდეგ კი უცნობმა ესროლა. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, – აცხადებენ თვითმხილველები.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით არის აღძრული, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რუსეთმა ასადი გაწირა?

ალეპოში ჰუმანიტარული პაუზა დამთავრდა. რუსულმა ავიაციამ კვლავ დაბომბა ალეპოს ის უბნები, რომლებსაც პარტიზანები აკონტროლებენ. დაღუპულია 4 მშვიდობიანი მოქალაქე. აქედან 1 ბავშვია.

ასადის არმიამ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა ალეპოს იმ უბნებს, რომლებიც პარტიზანებმა დაიკავეს. ქალაქში მწვავე ბრძოლები არ წყდება. მიუხედავად ამისა, რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ შესაძლებელია, უახლოეს მომავალში ასადმა თავისი პოსტი დატოვოს.



— ბუნებრივია, ეს არა ძალისმიერი მოქმედების, არამედ პოლიტიკური მოლაპარაკებებისა და არჩევნების შედეგად მოხდება, — თქვა მედვედევმა.

რუსეთის პრემიერმა განაცხადა, რომ ასადი ბევრს არ მოსწონს. ფაქტია, ის ლეგიტიმური პრეზიდენტია. ამას გარდა, ასადი ისლამისტების მიმართ შეურიგებელია. რუსეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ ასადის ძალისმიერი დამხობა პრობლემას ვერ გადაწყვეტს. პიროვნება, რომელიც ასადს შეცვლის, ლიბერალი არ იქნება, რადგან ასეთები სირიაში არ არსებობენ. შესაბამისად, გარკვეული დროის შემდეგ მისი დამხობა გახდება აუცილებელი და ა.შ.



— თუ გვსურს, რომ სირიაში ომი დამთავრდეს და ტერორისტებიც გავანადგუროთ, ასადის ძალისმიერი გზით დამხობაზე უარი უნდა განვაცხადოთ. რუსეთი მოლაპარაკებებისთვის მზადაა! კი ბატონო, ასადის მთავრობა ახალმა, ეროვნული თანხმობის მთავრობამ შეცვალოს, სადაც ოპოზიციაც შევა, მაგრამ ეს ჩვენთან შეთანხმების შემდეგ უნდა მოხდეს, — აცხადებს მედვედევი.

# საფრანგეთში ბასკი სეპარატისტების ლიდერი დააკავეს




ფრანგული და ესპანური უშიშროების სამსახურების ერთობლივი ოპერაციის შედეგად დაპატიმრებულია ბასკი სეპარატისტული ორგანიზაციის ეტას ლიდერი მიკელ ირასტორზა.

ის საფრანგეთის სოფელ ასანში აიყვანეს.

ეტა წლების განმავლობაში ბასკეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და ფართომასშტაბიან ტერორისტულ მოღვაწეობას ეწეოდა. 2011 წელს ეტამ შეიარაღებულ ბრძოლაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, ეტას შიგნით გამოიკვეთა შეურიგებელთა ფრთა, რომელიც ტერორისტული მოღვაწეობის გაგრძელებას შეეცადა.

ირასტორზა სწორედ ამ ფრთას განეკუთვნებოდა. ექსპერტები არ გამორიცხავენ, უახლოეს ხანებში ეტას სხვა რადიკალი წარმომადგენლებიც დააპატიმრონ.

# სამხრეთ კორეა: დააპატიმრეს პრეზიდენტის 2 ყოფილი თანაშემწე



სამხრეთ კორეის პროკურატურამ გასცა ორდერი პრეზიდენტ პაკ კინ კხეს ორი თანაშემწის დაპატიმრებაზე.

მათ ბრალად ედებათ საიდუმლო ინფორმაციის გაცემა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება.

პაკ ინ კხე პირველი კორეელი ქალია, რომელიც პრეზიდენტად აირჩიეს. მისი მმართველობა არნახული კორუფციული სკანდალებით ხასიათდება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გენერალი გრიცაკი: „რუსეთი უკრაინის ამოყირავებას აპირებდა“

ოდესაში უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფი, გენერალი ვასილი გრიცაკი ჩავიდა. ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ სურკოვის წერილები უკრაინელი ჰაკერების ჯგუფმა „კიბერ-ხუნტამ“ მოიპოვა. მათ პუტინის თანაშემწის ელფოსტა გატეხეს.



— ინფორმაცია, რომელიც სურკოვის ელფოსტის გატეხის შემდეგ გავრცელდა, სიმართლეა! რუსეთი უკრაინის ამოყირავებას მართლაც აპირებდა, — თქვა გრიცაკმა.

უშიშროების უფროსმა აღნიშნა, რომ დესტაბილიზაცია ქვეყნის 16 რეგიონში იგეგმებოდა. უკვე შერჩეული იყო კადრები, მზად იყო სცენარი. გრიცაკმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ოპერაციაში მოსკოვმა დიდი ფული ჩადო. შედეგად უნდა მომხდარიყო კიევის, როგორც ცენტრის დასუსტება, შემდეგ კი ახალი ავტონომიური წარმონაქმნების გაჩენა.

გრიცაკმა განაცხადა, რომ ბევრი უკრაინელი პოლიტიკოსი მოსკოვში ჩადიოდა, სადაც სურკოვის თანაშემწე აძინბას ხვდებოდა. მათ აძინბას წარუდგინეს ხარკოვის, ზაპოროჟიეს განსაკუთრებული სტატუსის, აგრეთვე ოდესისათვის პორტო-ფრანკოს (თავისუფალი ქალაქი) მინიჭების პროექტები.

— მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრები უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოხდა, ჩვენ ყოველივე დავაფიქსირეთ! — განაცხადა უშიშროების შეფმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ გრიცაკის პრესკონფერენციას ბოდვა უწოდა. კრემლის გარკვეული წრეების მოსაზრება კვლავაც ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

— უკრაინაში შექმნილია 250.000-იანი კარგად შეიარაღებული და ნაციონალისტური იდეოლოგიით დამუხტული არმია. ის ანტიოლიგარქიულადაა განწყობილი. ასეთად აღიქვამს თავის უმაღლეს მთავარსარდალ პოროშენკოსაც. მოსახლეობის 70%-ზე მეტი თავს მოტყუებულად მიიჩნევს და პოროშენკოსადმი, ისევე, როგორც ყველა უკრაინელი ოლიგარქისადმი, აგრესიულადაა განწყობილი.

ჟირინოვსკი თვლის, რომ პოროშენკოსთვის ყველაზე კარგი გამოსავალი დონბასში ომის დამთავრება, რუსული გავლენის აღდგენა, ქვეყნის ფედერალიზაცია, არმიის დაშლა და რუსეთის დახმარებით ხელისუფლების შენარჩუნება იყო. ამის ჩაშლით პეტრო ალექსეევიჩმა თურმე საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა. მას აუცილებლად დაამხობენ და ეს უკრაინელი ნაციონალისტების ხელით მოხდება.

— იანუკოვიჩისგან განსხვავებით, პოროშენკოს მოსკოვში ჩამოსასვლელი პირი აღარ აქვს! როცა დაამხობენ, დასავლეთში გაქცევა მოუწევს, მაგრამ მიიღებენ მას ევროპაში ან ამერიკაში? დამხობილი, ხელმოცარული პოლიტიკოსები დასავლეთს არაფერში სჭირდება, — ამბობს ჟირინოვსკი.

# შეტაკებები ფლორენციაში

იტალიის პრემიერი რენცი აპირებს, შეზღუდოს როგორც სენატის, აგრეთვე რეგიონული ხელისუფლებების ძალაუფლება.

აღნიშნული საკითხი რეფერენდუმზე უნდა გადაწყდეს.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა რეფერენდუმს ქუჩის აქციები ამჯობინა.



მწვავე შეტაკებები მოხდა ფლორენციაში, სადაც დემონსტრანტებმა პოლიციელებს შუშხუნები და ქვები დაუშინეს.

სამართალდამცველებმა პასუხად წყლის ჭავლი და ხელკეტები გამოიყენეს.

აქცია დაშალეს.

# ბუნდესვერში ისლამისტების 20 აგენტი გამოავლინეს

გერმანიის სამხედრო კონტრდაზვერვამ ბუნდესვერის რიგებში ისლამისტების 20 აგენტი გამოავლინა, კიდევ 60-მდე სამხედრო ეჭვქვეშ იმყოფება.

გერმანის თავდაცვის მინისტრმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ მზადდება კანონპროექტი, რომელიც ბუნდესვერის რიგებში ისლამისტების შეღწევას დაბლოკავს. ის მოქმედებაში 2017 წლის ივლისიდან შევა.

# თურქეთში დაპატიმრებები გრძელდება

მურად საბუდჟუს დაკავებით თურქეთში ჟურნალისტების დევნა არ შეწყვეტილა. პოლიციამ ოპოზიციური გაზეთის კიდევ 9 ჟურნალისტი დააკავა.




მათ ბრალად ქურთისტანის მუშათა პარტიასთან კავშირს სდებენ.

ჟურნალისტების დაპატიმრებამ საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. სტამბოლში საპროტესტო აქცია ჩატარდა. ქუჩაში ძირითადად ქურთების მხარდამჭერები გამოვიდნენ.

პოლიციამ აქცია წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალა.

ჟურნალისტების გარდა, თურქეთში 3 ჩეჩენი მებრძოლი, საიდოვი, ინადალოვი და გაზიევი დააკავეს. ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ ამ პირებს ჩეჩენი სამართალდამცველები კარგა ხანია დაეძებენ.

— მათ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე არაერთი ტერაქტი ჩაიდინეს! მოვითხოვთ, თურქეთმა ისინი გადმოგვცეს, — აცხადებს კადიროვი.

ინციდენტები ამით არ ამოწურულა. სტამბოლის აეროპორტთან პოლიციამ მოტოციკლზე მსხდომი ორი მამაკაცი საეჭვოდ მიიჩნია. პოლიციის მოთხოვნას, გაჩერებულიყვნენ, ისინი არ დაემორჩილნენ. ამის შემდეგ პოლიციელებმა ჰაერში გაისროლეს. მოტოციკლეტისტებმა გაჩერება იკადრეს. პოლიციამ ისინი დააკავა.

# ავღანეთი: ლიკვიდირებულია ალ-ქაიდას ლიდერი



ამერიკელმა სამხედროებმა ავღანეთში წარმატებული ოპერაცია ჩაატარეს. ლიკვიდირებულია ალ-ქაიდას ერთ-ერთი ლიდერი ალ-კატანი. ის პასუხისმგებელი იყო ავღანეთში ალ-ქაიდას განადგურებული ქსელის აღდგენაზე.

— ალ-კატანის ლიკვიდაცია პენტაგონმა ოფიციალურად დაადასტურა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

● ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან განკურნება, „პახმელია“, „ზაპოი“, აგრესიულობა, ალკოჰოლდამოკიდებულების მოხსნა (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში), სიგარეტის მწეველობისგან განთავისუფლება ფილტვების გაწმენდით, ნერვული სტატუსის მოწესრიგებით, ნიკოტინდამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პროდუქტით. ტელ: 599-45-88-66; 555–45-13-45. საიტი: carabadini.com

# დინამო ისევ უდანაკარგოა

**მგზავრები-დინამო 53:80**
**(11:19; 16:18; 10:24; 16:19)**

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

ერთმანეთს ტურნირის ლიდერი და აუტსაიდერი დაუპირისპირდნენ. წაგების არმქონე დინამო ბოლო ადგილზე მყოფ მგზავრებს შეხვდა და დამაჯერებელი გამარჯვებით ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა.

მართალია, მგზავრებმა ახალი ლეგიონერი – დერნელ ტეილორი დაიმატა, ხოლო რეჯინალდ მერფიმ ტრავმა მოიშუშა და ითამაშა კიდეც, მაგრამ კარგად დაბალანსებულ და გამართულად მოთამაშე დინამოსთან ვერაფერს გახდა.

დაძაბულობა მხოლოდ სადებიუტო წუთებში ვიხილეთ, როცა ორივე გუნდი ერთმანეთს ზვერავდა და პირველი პერიოდის მიწურულს დინამოელებმა ლიდერობის მოპოვება შეძლეს – 19:11. დიდ შესვენებამდე ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ლიდერობას მხოლოდ 2 ქულა წაამატა, თუმცა მესამე ათწუთეულიდან ყველაფერი გაირკვა. შორი სროლებითა და სწრაფი გარღვევებით დინამოელებმა პერიოდი 24:10 მოიგეს, 23 ქულით გალიდერდნენ და მატჩს აზრი დაუკარგეს.

ბოლო მეოთხედში ფავორიტმა კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა და საბოლოოდ 27 ქულის სხვაობით – 80:53 გაიმარჯვა.

16 ქულით, 11 მოხსნითა და 8 პასით დინამოს მიხეილ ბერიშვილმა ულიდერა. 16 ქულა მიითვალა დეონტა ვონმაც, ხოლო ნოდარ გოგოძემ შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. მგზავრებში 18 ქულით საუკეთესო იყო ბექა წივწივაძე, რომელმაც 7-დან 5 სამქულიანი ჩააგდო. 14 ქულა და 11 მოხსნა ზაქარი რეინოლდსმა მიითვალა.

**ქუთაისი-ოლიმპი 80:71**
**(22:25; 16:16; 23:16; 18:14)**

სუპერლიგის ჩემპიონმა ქუთაისმა დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა. მე-4 ტურის მატჩში იმერულმა კლუბმა ოლიმპს უმასპინძლა და 9 ქულის სხვაობით – 80:71 სძლია.

მასპინძლებს საკმაო ჯაფა დაადგათ გამარჯვების მოსაპოვებლად. ერთხანს 9 ქულითაც აგებდნენ, თუმცა სტაბილური თამაშის წყალობით გამარჯვების მოპოვება მოახერხეს.

ოლიმპმა პირველი პერიოდი 25:22 მოიგო, ხოლო მეორე ათწუთეულის ახალდაწყებულზე 33:24 დაწინაურდა. ქუთაისელები სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, თუმცა გამოცდილი მოთამაშეების – გიორგი ცინცაძისა და ანატოლი ბოისას ქულებით ჩამორჩენა დიდ შესვენებამდე აღმოფხვრეს და 2 ქულამდე შეამცირეს – 39:41.



მესამე პერიოდში ქუთაისელებმა თამაში დაალაგეს, აღნიშნული მეოთხედი 23:16 მოიგეს და მატჩიც სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს. გამარჯვებულებს 17 ქულით ეროვნული ნაკრების წევრმა გიორგი ცინცაძემ ულიდერა. 15 ქულით დაასრულა შეხვედრა ანატოლი ბოისამ, 11 ქულა, 6 მოხსნა და 6 პასი ზაურ ფაშაევის ანგარიშზე დაგროვდა.

**რუსთავი-ბათუმი 89:76**
**(17:14; 20:19; 28:27; 24:16)**

რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა რუსთავმა ბათუმს უმასპინძლა და პრინციპულ დაპირისპირებაში გამარჯვებას მიაღწია. რუსთაველებმა ზღვისპირელთა წინააღმდეგობა ბოლო პერიოდში გატეხეს 13 ქულის სხვაობით – 89:76 იმარჯვეს.

3 ტურის შემდეგ ორივე გუნდს 2-2 მოგება ჰქონდა და ამ მატჩს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმელები ამ მატჩს დანაკლისით შეხვდნენ. მართალია, სასტარტო ხუთეულის არა, მაგრამ ზღვისპირელებს 2 მოთამაშე აკლდათ. წინა ტურში დისკვალიფიცირებულმა ნიკა რამიშვილმა და ნოდარ თენიეშვილმა რუსთავში ვერ ითამაშეს.

პირველი მეოთხედი რუსთაველებმა 17:14 მოგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის 37:33 დაწინაურდნენ. მესამე პერიოდში ლეგიონერთა შედეგიანობის წყალობით მასპინძლები 13 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ ილია შემოსიუკის, კრის ფელჩერისა და ბესო ლეჟავას ქულებით ბათუმელებმა თამაშის თანაბარ კალაპოტში დაბრუნება მოახერხეს.

ბოლო პერიოდის წინ სხვაობა მხოლოდ 5 ქულა იყო, თუმცა ქეისი კასპერბაუერის ტომი სპანოლოსა და ჩარლი ლის შედეგიანობით, რომლებსაც ხელი გიგი გოგობერიშვილმაც წააშველა, რუსთავმა ბათუმელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ დაძლია და გამარჯვებამდე მივიდა.

ქვემოქართლელებს 27 ქულით კასპერბაუერმა ულიდერა, რომელმაც 8 სამქულიანი ჩააგდო. 17 ქულა ჰქონდა სპანოლოს, 15-15 ქულა კი ჩარლი ლიმ და სერგო ათუაშვილმა მიითვალეს. ამ უკანასკნელმა ორმაგი დუბლი მიითვალა და 15 ქულას 14 მოხსნა მოაყოლა. ბათუმში 19 ქულითა და 15 მოხსნით საუკეთესო იყო კრის ფელჩერი, ხოლო ილია შემოსიუკმა 18 ქულა მიითვალა.

**სოხუმი-კაქტუსი 73:91**
**(25:24; 13:22; 11:21; 24:24)**

ა ლიგიდან გადმოსულმა დებიუტანტმა, რომელმაც პირველ ტურში ჩემპიონი ქუთაისი დაამარცხა და შემდეგ ბათუმთანაც ბოლომდე იბრძოლა, სოხუმს შანსი არ დაუტოვა.

კაქტუსს მხოლოდ პირველ პერიოდში, ისიც მცირედით გაუჭირდა, თუმცა მეორე მეოთხედიდან ყველაფერი გამოასწორა და სოხუმელებს ისე აჯობა, შანსი არ მიუცია, თანაც, არჩილ ჟღენტის გუნდი დისკვალიფიცირებული უაიტის გარეშე თამაშობდა, თუმცა კაქტუსელთა სხვა ლეგიონერებმა – ტერიკ ბრიჯმანმა და ჯონ ფლოვიერსმა ისე დიდებულად ითამაშეს, თანაგუნდელებიც აიყოლიეს და მეტოქესაც წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს.

ეფექტური გდებების სტატისტიკა არ ითვლება, თუმცა, დიდი ალბათობით, შეიძლება იმის თქმა, რომ რამდენი ბურთიც ამ შეხვედრაში ჩაიტენა, საქართველოს ჩემპიონატში იშვიათად თუ ჩატენილა. ბრიჯმენი და ფლოვიერსი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ეფექტურად ბურთის ჩატენაში და მეტოქის ფარში ბლომადაც შთამბეჭდავი ბურთი ჩააჭედეს.

პირველი პერიოდის 24:25 წაგების შემდეგ კაქტუსმა მეორე მეოთხედი 22:13 მოიგო, მომდევნოში კი 21:11 იმარჯვა და მატჩის ბედი ნაადრევად გადაწყვიტა. ბრიჯმენ-ფლოვიერსის წყალობით კაქტუსელები საჯარიმოში გაბატონდნენ და მეტოქეს როგორც მოხსნებში, ისე სამწამიანი ზონიდან მოგროვილ ქულებში სჯობნიდნენ.

შედეგად არჩილ ჟღენტის გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა და 2 მოგებითა და 1 მარცხით სუპერლიგის ცხრილში მე-6 პოზიციაზე გადაინაცვლა.

ჯონ ფლოვიერსმა გამარჯვებულებს 26 ქულითა და 13 მოხსნით ულიდერა. ბრიჯმენმა შეხვედრა 22 ქულით, 14 მოხსნით და 3 დაფარებით დაასრულა. დავით ლომიძის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა. სოხუმელთაგან 14-14 ქულა მოაგროვეს მერაბ ბოქოლიშვილმა და ოლექსანდრ რიხლიუკმა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 4 | 4 | 0 | 350-272 | 8 |
| 2.ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 347-318 | 7 |
| 3.რუსთავი | 4 | 3 | 1 | 326-299 | 7 |
| 4.ბათუმი | 4 | 2 | 2 | 349-338 | 6 |
| 5.ოლიმპი | 4 | 1 | 3 | 284-279 | 5 |
| 6.კაქტუსი | 3 | 2 | 1 | 237-239 | 5 |
| 7.სოხუმი | 4 | 0 | 4 | 307-383 | 4 |
| 8.მგზავრები | 3 | 0 | 3 | 193-265 | 3 |

# სამტრედია საჩემპიონო მატჩში ჩიხურას შეხვდება

**კოლხეთი-სამტრედია 1:3**
**ქობულეთი. ჩელე არენა**

1:0, 2:0 ზივზივაძე (25, 40), 3:0 რაჟამაშვილი (43), 3:1 ლუკავა (52პ)

მე-60 წუთზე ჯღამაიამ ვერ გამოიყენა პენალტი

**კოლხეთი:** თებიძე, რამალდანოვი, კაკულია, ჩაკვეტაძე, ქებურია, ოზარკივი, ჟიშკარიანი, ლუკავა, ჯღამაია, კოკაია, ნიქაბაძე

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, ცნობილაძე, რაჟამაშვილი (გამყრელიძე 88), ცხადაძე (მარკოზაშვილი 68), არაბული (ჯიქია 64), ზივზივაძე

ქობულეთის „ჩელე არენამ“ ტურის ცენტრალურ მატჩს უმასპინძლა. ფოთის კოლხეთი უშუალო კონკურენტ სამტრედიას შეხვდა და 1:3 დამარცხდა.

ანგარიში 25-ე წუთზე ბუდუ ზივზივაძემ გახსნა. სამტრედიელთა შემტევმა 15 წუთში დუბლი გაიფორმა და საკუთარი გუნდის უპირატესობა განამტკიცა. იმერლებმა ტაიმის მიწურულს კიდევ ერთხელ შეძლეს ფოთელთა კარის აღება, 43-ე წუთზე თავი დავით რაჟამაშვილმა გამოიჩინა.



გელა სანაიას გუნდმა სხვაობის შემცირება მეორე ნახევრის საწყის წუთებზევე შეძლო, 52-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად გურამ ლუკავამ შეასრულა.

8 წუთში კოლხეთს კიდევ მიეცა პენალტის დარტყმის საშუალება, თუმცა, ამჯერად ლაშა ჯღამაიამ შეასრულა სტანდარტი და ვერ გამოიყენა.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა, სამტრედიამ მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა, წითელ ჯგუფში პირველობა გაინაღდა და საჩემპიონო მატჩში თეთრი ჯგუფის ვადამდელ გამარჯვებულს, საჩხერის ჩიხურას შეხვდება.

**დილა-საბურთალო 0:0**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**დილა:** მუჯრიშვილი, სალუქვაძე, კვახაძე, ეტოუ, ღონღაძე, სამხარაძე (ცაცკრიალაშვილი 77),

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# შედეგები

## 5 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-სანდერლენდი ............. 1:2
ბარნლი-კრ.პალასი ............. 3:2
სიტი-მიდლსბრო ............. 1:1
ვესტ ჰემი-სტოკი ............. 1:1
ჩელსი-ევერტონი ............. 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 11 | 8 | 1 | 2 | 26-9 | 25 |
| 2.სიტი | 11 | 7 | 3 | 1 | 25-10 | 24 |
| 3.არსენალი | 10 | 7 | 2 | 1 | 23-10 | 23 |
| 4.ლივერპული | 10 | 7 | 2 | 1 | 24-13 | 23 |
| 5.ტოტენჰემი | 10 | 5 | 5 | 0 | 14-5 | 20 |
| 6.ევერტონი | 11 | 5 | 3 | 3 | 15-13 | 18 |
| 7.უოტფორდი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-13 | 15 |
| 8.მანჩესტერი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-12 | 15 |
| 9.ბარნლი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-15 | 14 |
| 10.საუთჰემპტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| 11.სტოკი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-18 | 13 |
| 12.ბორნმუთი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-16 | 12 |
| 13.ლესტერი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-16 | 12 |
| 14.მიდლსბრო | 11 | 2 | 5 | 4 | 10-12 | 11 |
| 15.კრ.პალასი | 11 | 3 | 2 | 6 | 16-19 | 11 |
| 16.ვესტ ჰემი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-20 | 11 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-14 | 10 |
| 18.ჰალი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-23 | 7 |
| 19.სუონსი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-18 | 5 |
| 20.სანდერლენდი | 11 | 1 | 2 | 8 | 9-21 | 5 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვულვზი-დერბი ............. 2:3
ასტონ ვილა-ბლექბერნი ............. 2:1
ბარტონი-ბარნსლი ............. 0:0
ნიუკასლი-კარდიფი ............. 2:1
ნორვიჩი-ლიდსი ............. 2:3
ნოტინგემი-ქპრ ............. 1:1
უენსდი-იფსვიჩი ............. 1:2
უიგანი-რედინგი ............. 0:3
ჰადერსფილდი-ბირმინგემი ............. 1:1
როტერჰემი-პრესტონი ............. 1:3
ბრისტოლი-ბრაიტონი ............. 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-დეპორტივო ............. 1:1
სოსიედადი-ატლეტიკო ............. 2:0
ოსასუნა-ალავესი ............. 0:1
ლას პალმასი-ეიბარი ............. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 10 | 7 | 3 | 0 | 28-10 | 24 |
| 2.ბარსელონა | 10 | 7 | 1 | 2 | 30-12 | 22 |
| 3.ატლეტიკო | 11 | 6 | 3 | 2 | 25-8 | 21 |
| 4.სევილია | 10 | 6 | 3 | 1 | 18-13 | 21 |
| 5.ვილიარეალი | 10 | 5 | 4 | 1 | 17-7 | 19 |
| 6.სოსიედადი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-12 | 19 |
| 7.ლას პალმასი | 11 | 4 | 4 | 3 | 21-18 | 16 |
| 8.ბილბაო | 10 | 5 | 1 | 4 | 15-13 | 16 |
| 9.მალაგა | 11 | 4 | 3 | 4 | 17-16 | 15 |
| 10.ეიბარი | 11 | 4 | 3 | 4 | 16-15 | 15 |
| 11.სელტა | 10 | 4 | 2 | 4 | 16-20 | 14 |
| 12.ალავესი | 11 | 3 | 4 | 4 | 11-15 | 13 |
| 13.ესპანიოლი | 10 | 2 | 5 | 3 | 13-17 | 11 |
| 14.ბეტისი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-20 | 11 |
| 15.ვალენსია | 10 | 3 | 1 | 6 | 14-19 | 10 |
| 16.დეპორტივო | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| 17.ლეგანესი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-19 | 10 |
| 18.ხიხონი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-22 | 9 |
| 19.ოსასუნა | 11 | 1 | 4 | 6 | 12-21 | 7 |
| 20.გრანადა | 11 | 0 | 4 | 7 | 9-25 | 4 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კადისი-უესკა ............. 1:0
ვალიადოლიდი-სევილია ბ ............. 2:0
ხირონა-ტენერიფე ............. 1:1
რაიო-მურსია ............. 0:1
მალიორკა-სარაგოსა ............. 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰოფენჰაიმი ............. 1:1
ლევერკუზენი-დარმშტადტი ............. 3:2
ჰამბურგი-დორტმუნდი ............. 2:5
ინგოლშტადტი-აუგსბურგი ............. 0:2
ფრაიბურგი-ვოლფსბურგი ............. 0:3
აინტრახტი-კიოლნი ............. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 10 | 7 | 3 | 0 | 24-6 | 24 |
| 2.ლაიპციგი | 9 | 6 | 3 | 0 | 17-6 | 21 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 5 | 0 | 18-11 | 20 |
| 4.ჰერტა | 10 | 6 | 2 | 2 | 17-10 | 20 |
| 5.დორტმუნდი | 10 | 5 | 3 | 2 | 25-12 | 18 |
| 6.კიოლნი | 10 | 5 | 3 | 2 | 16-7 | 18 |
| 7.აინტრახტი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-8 | 18 |
| 8.ლევერკუზენი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-15 | 16 |
| 9.ფრაიბურგი | 10 | 5 | 0 | 5 | 13-16 | 15 |
| 10.მაინცი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-15 | 14 |
| 11.გლადბახი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-15 | 12 |
| 12.აუგსბურგი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-14 | 11 |
| 13.ვოლფსბურგი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-13 | 9 |
| 14.შალკე | 9 | 2 | 2 | 5 | 10-11 | 8 |
| 15.დარმშტადტი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-20 | 8 |
| 16.ვერდერი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-24 | 7 |
| 17.ინგოლშტადტი | 10 | 0 | 2 | 8 | 7-21 | 2 |
| 18.ჰამბურგი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-23 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ბოხუმი ............. 2:1
კაიზერი-უნიონი ............. 1:0

**იტალია. სერია ა**

ტორინო-კალიარი ............. 5:1
ნაპოლი-ლაციო ............. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 11 | 9 | 0 | 2 | 23-8 | 27 |
| 2.რომა | 11 | 7 | 2 | 2 | 26-12 | 23 |
| 3.ლაციო | 12 | 6 | 4 | 2 | 23-13 | 22 |
| 4.მილანი | 11 | 7 | 1 | 3 | 17-14 | 22 |
| 5.ნაპოლი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-13 | 20 |
| 6.ატალანტა | 11 | 6 | 1 | 4 | 16-13 | 19 |
| 7.ტორინო | 12 | 5 | 4 | 3 | 27-16 | 19 |
| 8.ფიორენტინა | 10 | 4 | 4 | 2 | 13-10 | 16 |
| 9.კალიარი | 12 | 5 | 1 | 6 | 20-29 | 16 |
| 10.ჯენოა | 10 | 4 | 3 | 3 | 12-10 | 15 |
| 11.კიევო | 11 | 4 | 3 | 4 | 11-12 | 15 |
| 12.ინტერი | 11 | 4 | 2 | 5 | 13-14 | 14 |
| 13.უდინეზე | 11 | 4 | 2 | 5 | 15-18 | 14 |
| 14.სამპდორია | 11 | 4 | 2 | 5 | 12-16 | 14 |
| 15.ბოლონია | 11 | 3 | 4 | 4 | 11-15 | 13 |
| 16.სასუოლო | 11 | 4 | 1 | 6 | 14-19 | 13 |
| 17.პესკარა | 11 | 1 | 4 | 6 | 9-16 | 7 |
| 18.ემპოლი | 11 | 1 | 4 | 6 | 2-13 | 7 |
| 19.პალერმო | 11 | 1 | 3 | 7 | 8-21 | 6 |
| 20.კროტონე | 11 | 1 | 2 | 8 | 10-21 | 5 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ენტელა ............. 0:0
ჩიტადელა-სალერნიტანა ............. 2:0
ლატინა-ბარი ............. 2:1
ნოვარა-სპალი ............. 0:1
პიზა-პერუჯა ............. 0:1
პრო ვერჩელი-კარპი ............. 0:0
სპეცია-ვერონა ............. 1:4
ტრაპანი-ვიჩენცა ............. 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-ნანსი ............. 6:0
ბორდო-ლორიანი ............. 2:1
ლიონი-ბასტია ............. 2:1
დიჟონი-გენგამი ............. 3:3
ანჟე-ლილი ............. 1:0
ნანტი-ტულუზა ............. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 11 | 9 | 2 | 0 | 24-8 | 29 |
| 2.მონაკო | 12 | 8 | 2 | 2 | 36-15 | 26 |
| 3.პსჟ | 11 | 7 | 2 | 2 | 20-7 | 23 |
| 4.გენგამი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-12 | 21 |
| 5.რენი | 11 | 6 | 2 | 3 | 13-12 | 20 |
| 6.ტულუზა | 12 | 5 | 4 | 3 | 16-10 | 19 |
| 7.ლიონი | 12 | 6 | 1 | 5 | 20-16 | 19 |
| 8.ბორდო | 12 | 5 | 4 | 3 | 15-13 | 19 |
| 9.სტ.ეტიენი | 11 | 4 | 5 | 2 | 14-10 | 17 |
| 10.ანჟე | 12 | 5 | 2 | 5 | 11-11 | 17 |
| 11.დიჟონი | 12 | 3 | 5 | 4 | 16-17 | 14 |
| 12.მარსელი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-13 | 14 |
| 13.მონპელიე | 12 | 3 | 5 | 4 | 19-26 | 14 |
| 14.მეცი | 11 | 4 | 1 | 6 | 11-21 | 13 |
| 15.ნანტი | 12 | 3 | 3 | 6 | 9-16 | 12 |
| 16.ბასტია | 12 | 3 | 2 | 7 | 9-12 | 11 |
| 17.ლილი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-18 | 10 |
| 18.კაენი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-21 | 10 |
| 19.ნანსი | 12 | 2 | 3 | 7 | 7-19 | 9 |
| 20.ლორიანი | 12 | 2 | 1 | 9 | 9-20 | 7 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სტრასბურგი-რეიმსი ............. 1:2

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

დენ ჰააგი-ტილბურგი ............. 1:0
ნაიმეგენი-გრონინგემი ............. 1:1
პსვ-ტვენტე ............. 1:1
ზვოლე-როდა ............. 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-შავიში ............. 1:1
ეშტორილი-ტონდელა ............. 2:0
ფეირენშე-ბელენენსეში ............. 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-სპარტაკი ............. 0:1
უფა-რუბინი ............. 2:3
კრილია-ურალი ............. 2:2

**ურალის მე-2 გოლი**
**გიორგი ჭანტურიამ გაიტანა**

ლოკომოტივი-ანჟი ............. 4:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-ჰამილტონი ............. 0:0
სელტიკი-ინვერნესი ............. 3:0
დანდი-მოზერველი ............. 2:0
ჰართსი-სტ.ჯონსონი ............. 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი-სიონი ............. 2:3
ბაზელი-ლოზანა ............. 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-სტ.პოლენი ............. 1:2
რიდი-ადმირა ............. 2:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ვესტერლო-ვარემი ............. 1:2
ეუპენი-სტ.ტრუიდენი ............. 4:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-ასტერასი ............. 1:2
ლევადიაკოსი-ქსანთი ............. 1:1
აეკი-ატრომიტოსი ............. 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-გაზიანთები ............. 4:3
ქარაბუქი-ბურსა ............. 0:0
ანთალია-გენჩლერი ............. 1:0
ბეშიქთაში-ტრაბზონი ............. 2:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ზლინი-ბრნო ............. 2:1
პრჟიბრჟამი-დუკლა ............. 3:1
ტეპლიცე-ჰრადეც კრალოვე ............. 0:1
სლავია-ბოჰემიანსი 1905 ............. 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-კორონა ............. 1:3
იაგელონია-პიასტი ............. 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-ოლიმპიკი ............. 1:2
კარპატი-ვორსკლა ............. 1:0

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ნორდსიელანდი ............. 2:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# აუცილებლად გაახეხვინეთ ბავშვებს კბილები ძილის წინ

## „6 თვეში ერთხელ სტომატოლოგთან ვიზიტი აუცილებელია“

ეკა ირემაშვილი

გენეტიკა, დაბინძურებული გარემო, ჰიგიენა, მშობლის ცოტა სიზარმაცე და ფინანსური პრობლემები – ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელთა გამოც ბავშვებში პატარა ასაკიდანვე ჩნდება პირის ღრუს პრობლემები.

როგორც სტომატოლოგმა ნინო დიასამიძემ „ახალ თაობას“ განუცხადა, ბოლო პერიოდში პატარა პაციენტებში კბილებთან დაკავშირებულმა სხვადასხვა დაავადებამ საგრძნობლად იმატა.

**ნინო დიასამიძე:**

***– ბავშვებს საკმაოდ პრობლემური პირის ღრუ აქვთ. ბევრისთვის შეიძლება დაუჯერებელი იყოს, მაგრამ პატარა ბავშვებშიც ვხვდებით დიდ პრობლემებს.***

ეს ხშირად მშობლების უყურადღებობის ბრალია. ამასწინათ მყავდა პაციენტი, 7-8 წლის ბავშვი, რომელსაც ყბა ჰქონდა გასიებული. სანამ მტკივნეულ კბილს მივხედავდით, დავუთვალიერე მთელი პირის ღრუ და მეორე მხარეს ისეთი საშინელება ხდებოდა, გასიებული ყბა იმასთან შედარებით არაფერი იყო. დედას ეს რომ ვუთხარი, ეწყინა. არადა, ამაში საწყენი არაფერია, პირიქით, მშობელმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოს თავისი შვილის პირის ღრუს, რადგანაც თვითონ პატარები არიან და ამის გაკონტროლება არ შეუძლიათ.

***– ყველაზე პატარა რა ასაკის ბავშვი მოუყვანიათ თქვენთან პრობლემური კბილებით?***

– 4 წლიდან ბავშვებს უკვე საკმაო პრობლემები აქვთ. ჩემი ყველაზე პატარა პაციენტიც 4 წლისაა.



***– ბოლო წლებში რამდენად იმატა ბავშვებში პირის ღრუს პრობლემებმა?***

– სამწუხაროდ, საკმაოდ იმატა. ეს დაკავშირებულია, ალბათ, ეკონომიკურ პრობლემებთანაც და, რა თქმა უნდა, მშობლების უყურადღებობასთანაც. არანაკლებ როლს თამაშობს გარემო ფაქტორები, პირველ რიგში, დაბინძურებული ჰაერი, არაჯანსაღი საკვები. რას ჭამენ, რა წყალს სვამენ და რა ჰაერს სუნთქავენ ბავშვები, ღმერთმა იცის. ამას ემატება კბილების მოვლის პრობლემაც.

მშობელსაც ეზარება, ყოველ ღამე თავზე დაადგეს მძინარე ბავშვს და გაახეხვინოს კბილები, მაგრამ ეს აუცილებელია. როგორც არ უნდა გეზარებოდეთ, ქვეყანაც რომ იქცეოდეს, მშობლებო, აუცილებლად გაახეხვინეთ თქვენს პატარებს კბილები ყოველ ღამე ძილის წინ. თუკი ვერ ახერხებთ, რომ ბავშვებს კბილები დღეში ორჯერ გაახეხვინოთ და ეს დღეში ერთხელ ხდება, მაშინ სჯობს, კბილები ძილის წინ გაუხეხოთ და არა დილით.

***– როგორ მოვამზადოთ პატარები სტომატოლოგთან პირველი ვიზიტისთვის?***

– არის ბავშვების კატეგორია, რომელიც უკვე ტირილით მოდის და მათ განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ. რაც უფრო თბილად მოვექცევით და მოვეფერებით, მით უფრო მალე დამშვიდდებიან და ჩვენც მუშაობა არ გაგვიჭირდება.

ხშირ შემთხვევაში, პატარებს სტომატოლოგთან ვიზიტისას შიშის ფაქტორი აქვთ, თუმცა, ისეთი საყვარლები და კარგები არიან, დიდებსაც კი სჯობნიან და გესიამოვნება მათთან ურთიერთობა და მუშაობა. ანესთეზიასაც მშვენივრად იკეთებენ, დიდზე უფრო შეგნებით ეკიდებიან და არც კი ტირიან. ასეთ ბავშვებს უფრო ნაკლებ პრობლემატური პირის ღრუ აქვთ. სახლში ვინც უვლის კბილებს, მას არც სტომატოლოგთან მისვლის ეშინია და თანაც ნაკლებად პრობლემატური კბილებიც აქვს.

***– თუ არსებობს ხრიკები, რომლებიც შეიძლება, მშობლებს ბავშვების დასამშვიდებლად გვასწავლოთ?***

– სამწუხაროდ, ხშირად ბავშვებს სწორედ მშობლები თრგუნავენ და მათზე ცუდ გავლენას ახდენენ. მქონია შემთხვევა, ბავშვი ზის, გაიკეთა ანესთეზია, არ ტირის, ცრემლი არ გადმოუგდია, ძალიან ვაჟკაცურია და ამ დროს მშობელი ფერწასული ეკითხება: „ვაიმე, მოგიკვდეს დედა, ცუდად ხომ არა ხარ, შვილო“, „ვაიმე, მე ამას ვერ ვუყურებ“, „ვაიმე, ჩემი გული ამას ვერ გადაიტანს“, „ვაიმე, ცუდად ვარ“, „ვაიმე, ამას ვერ გავუძლებ“ და ა.შ.

ეს ფაქტორი ბავშვებზე ძალიან მოქმედებს და უფრო ითრგუნებიან. ასეთ შემთხვევაში, სასურველია, ჯერ მშობლები დამშვიდდეთ.

***– ყველაზე მეტად რა ვნებს პატარების კბილებს?***

– პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ტკბილეული, რაც პატარებს ყველაზე მეტად უყვართ, ასევე გაზიანი სასმელები და ჰიგიენის დაუცველობა.

***– რა როლს თამაშობს ამ საკითხში გენეტიკა?***

– გენეტიკა უდიდეს როლს თამაშობს. რაც არ უნდა მოუარონ კბილებს, თუ გენეტიკა ხელს უწყობთ, მათ მაინც ექნებათ პრობლემები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურადღება არ უნდა მიაქციონ. მოდის პაციენტი და მეუბნება, დავიღალე, ბავშვობიდან სტომატოლოგთან დავდივარო, მაგრამ, რას ვიზამთ, მას სტომატოლოგთან რომ არ ევლო, დღეს პირში არცერთი კბილი აღარ ექნებოდა.

ბევრი პაციენტი მყავს, რომლებიც ძალიანაც უვლიან კბილებს, კარგ პირობებშიც არიან, მაგრამ გენეტიკა თავისას შვრება და პრობლემები მაინც აქვთ, მინანქარი იშლება და კარიესებით აქვთ სავსე პირის ღრუ.

***– ხშირად პატარებს სარძევე კბილები უშავდებათ და მთლიანად ეფშვნებათ. ეს რისი ბრალია, ტკბილეულის თუ გენეტიკის?***

– ეს კარიესზე ნაკლებ პრობლემას არ წარმოადგენს. ამას იწვევს ფტორის შემცველობა წყალში. ზედმეტი ფტორიც და ნაკლებიც ჭამს მინანქარს. ეს საკმაოდ უსიამოვნო პროცესია. ამ დროს სწორად უნდა შევარჩიოთ ბავშვისთვის კბილის სახეხი პასტა.



ნინო დიასამიძე

***– როგორ იწყება მინანქრის გაშავება, პირველად როგორი სიმპტომები აქვს?***

– ეს არის მოყვითალო მოყავისფრო ფერის ლაქები მინანქარზე, რომელიც შეიძლება თავიდანვე ისეთი ჩაღრმავებული არც იყოს, ამიტომ მშობლებს ჰგონიათ, რომ ბავშვს კბილზე რაღაც უსვია, მაგრამ ჯაგრისით ეს არ სცილდება. თუკი დროულად მიმართავთ სტომატოლოგს, ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია.

***– რა ასაკიდან უნდა მივაჩვიოთ ბავშვები კბილების ხეხვას?***

– კბილების ხეხვა ბავშვებმა უნდა დაიწყონ 2,5 წლიდან მაინც და აუცილებლად მშობლის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. უფრო მეტიც, მშობლებმა უნდა გაუხეხონ პატარებს კბილები. ისინი მშობლის გარეშე ამას ვერ შეძლებენ. სწორად უნდა შევარჩიოთ საბავშვო კბილის პასტა, რომ მათთვის საფრთხეს არ წარმოადგენდეს. აუცილებელია, ბავშვებს ვასწავლოთ კბილების სწორი ხეხვა.

***– რას ნიშნავს კბილების სწორი ხეხვა?***

– კბილები ჰორიზონტალურად არ უნდა გავუხეხოთ. თუ მაინცდამაინც მოგწონთ ასე კბილების ხეხვა, ბოლოში შეგიძლიათ, ასე გაუხეხოთ. სწორი კბილების ხეხვა შეიძლება შევადაროთ ფანჯრის მინების ჩამორეცხვას. კბილის ზედაპირზე მიკროღარებია, რომლებიც თვალით არ ჩანს და ამიტომ უნდა მოხდეს ყველა კბილის საგულდაგულოდ გახეხვა. ბავშვებისთვის ეს საკმაოდ რუტინულია, ამდენ ხანს პირის გაღება რთულია, მაგრამ უნდა გაუძლონ. სულ ბოლოს უნდა მოხდეს საღეჭი კბილების ზედაპირების მოხეხვა და ამ პროცედურას 3 წუთი სჭირდება. ზოგს ეზარება, მაგრამ სიზარმაცე მხოლოდ ცუდ შედეგს მოიტანს.

***– დღეგამოშვებით კბილების ხეხვა შეიძლება?***

– არავითარ შემთხვევაში. ყოველ ღამე უნდა გაიხეხონ კბილები ბავშვებმა და დილით საუზმის შემდეგ და არა – ადგომისთანავე.

***– საღეჭი რეზინი შველის პირის ღრუს გასუფთავებას?***

– კი, მაგრამ დიდი ხნით საღეჭი რეზინის მოხმარება სასურველი არ არის, რადგან კუჭი წვენს გამოყოფს.

***– ხშირია, როცა პატარებს სარძევე კბილები უჩირქდებათ. ამას რა იწვევს?***

– ეს სტომატოლოგთან დაგვიანებული ვიზიტის ბრალია. სანამ შეიძლებოდა თერაპიული გზებით პრობლემების მოგვარება, მანამდე არ მიმართეს მშობლებმა სპეციალისტს და გაუყუჩეს ბავშვს მტკივნეული კბილი გამაყუჩებლით ან ასანთის ღერით გამოუჩიჩქნეს, ვითომ ამოწმინდეს. ამ დროს ხდება არხების დაბინძურება, რადგან ისინი დროულად არ დაიბჟინა.

***– ამ შემთხვევაში კბილის გადარჩენა შესაძლებელია?***

– არის შემთხვევები, როცა კბილის გადარჩენა ხდება, გააჩნია, რა სტადიაზეა დაავადება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა ასაკში რეკომენდებული არ არის სარძევე კბილების დროზე ადრე ამოღება, ხანდახან მაინც დგება ეს საკითხი დღის წესრიგში. ორი ჩირქიანი კბილი ბავშვის ჯანმრთელობას ისეთივე ზიანს აყენებს, როგორც ჩირქოვანი გლანდი. ეს გულზე რა ცვლილებებს იწვევს, ყველამ იცის. ამ დროს სტომატოლოგი იძულებულია, კბილი ამოიღოს, არადა, სარძევე კბილის ადრე ამოღებამ შეიძლება გამოიწვიოს თანკბილვის დარღვევა და ბავშვს დასჭირდეს აპარატი.

***– ხშირად ამბობენ, რომ სარძევე კბილის დაბჟენას აზრი არ აქვს.***

– აზრი როგორ არ აქვს. გააჩნია ღრუს. იმის გამო, რომ თანკბილვა არ დაირღვეს, რაც შეიძლება დიდხანს თერაპიული მკურნალობით უნდა შევინარჩუნოთ სარძევე კბილები.

***– ბოლო პერიოდში ყველა სტომატოლოგი ითხოვს სინჯებს.***

– ეს ერთ-ერთი აუცილებელი და უმთავრესი საკითხია. სინჯები ანესთეტიკზე უნდა გაკეთდეს 6 თვეში ერთხელ, პირველი ვიზიტის დროს კი აუცილებლად. სინჯის გარეშე რაიმე მანიპულაციების ჩატარება დაუშვებელია.

იცით, რატომ არის სინჯი აუცილებელი? თუ ბავშვი ალერგიულია, შეიძლება, ძალიან ცუდ შედეგებამდე მივიდეთ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდეთ.

ისე მოიმატა ალერგიულმა ფონმა, მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო. გარემო ფაქტორი ძალიან მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით – ტყვიით დაბინძურებული ჰაერი. წელს ალერგიის სასწაული შემოტევა იყო თბილისში, ამიტომ მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ.

***– ხშირად ბავშვებს აქვთ თეთრი კბილები, ვიზუალურად არაფერი ეტყობათ.***

– ეს არაფერს ნიშნავს. 6 თვეში ერთხელ სტომატოლოგთან ვიზიტი აუცილებელია.

# სკანვორდი



1. მომღერალი ... ფრანკლინი; 2. რკინიგზის სადგურის პლატფორმა; 3. ქათმების საჯდომი ხარიხა საქათმეში; 4. ულაგამო აღვირი; 5. სოფელი ხევში; 6. მღვდლის ცოლი (ძვ.); 7. „ურიელ ...“; 8. ... ემხვარი; 9. აღმოსავლური შაში; 10. „... დამაცადე!“; 11. ისტორიული ოლქი ესპანეთში; 12. ინგლისის კონსერვატორების პარტიის წინამორბედი; 13. ფრინველების დასაჭერი მახე; 14. ხომალდის ტვირთი; 15. ჰომეროსის პოემა; 16. ხორციანი კორკოტი; 17. თხის ჯოგი; 18. ასო „რ“-ს სახელწოდება; 19. თევზების აღწერა; 20. კათოლიკეთა მღვდელი; 21. მდინარის მტაცებელი თევზი; 22. ქერელის საზღვაო თოკი; 23. ქაშაყისებრთა ოჯახის პატარა თევზი; 24. პურის ნაჭრების შესაბრაწი მოწყობილობა; 25. „გედების ტბის“ პერსონაჟი; 26. საქართველოში მოღვაწე რუსი ფერმწერი და გრაფიკოსი (1922-34 წ.წ); 27. წონის ერთეული ჩინეთში; 28. სურდო; 29. ... უინსლეტი; 30. კოლხი მედეას დედა; 31. ტექსტის დამსურათებელი; 32. ფარაონების ღვთაებრივი მშობელი ეგვიპტურ მითოლოგიაში.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მალხაზი; 2. ჰეროინი; 3. ცილინდრი; 4. პუდელი; 5. „ფერხული“; 8. „ბიბლისი“; 9. სახარება; 12. ბერნარდი; 13. ხილნარი; 16. გაგრიფში; 17. გუდვილი; 19. ალლუმი; 20. მექისე.

**თარაზულად:** 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. „ბრიუგე“; 10. კაოლინი; 11. წუღა; 14. კვიპროსი; 15. „ქრისტინე“; 18. ხაიამი; 21. ღერღედი; 22. მენჯი; 23. ისრიმი; 24. ტიტესტერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. „მალთაყვა“; 4. იზორია; 6. თუთიყუში; 8. ბისონი; 11. კელასური; 12. „ბორჯომი“; 16. „დელტა“; 17. კელია; 18. ვაშლი.

**თარაზულად:** 1. მესხეთი; 5. სიათა; 7. მალხაზი; 9. ასტურია; 10. ფრიმანი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. „მომა“; 19. ოჯალეში; 20. ბენეფისი; 21. სალუქვაძე; 22. დინარი.

# ასტროპროგნოზი

7 ნოემბრისათვის



**ვერძი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **კურო** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **ტყუპები** – გარშემომყოფებს მეტი სითბო აჩუქეთ. გულისხმიერება, დათმობა, მიტევება დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **ლომი** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **სასწორი** – აფორიაქებული ხართ. საქმიანი პარტნიორის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას უცებ ნუ დათანხმდებით. **ღრიანკალი** – პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო ხართ. დროა, პარტნიორთან ურთიერთობაში კორექტივები შეიტანოთ, ოღონდ ისე, რომ საკუთარი თავი არ დააზარალოთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სფეროში დიდი წინდახედულობა გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. **თხის რქა** – თქვენი ავტორიტეტი საფრთხის ქვეშ არის. კრიტიკას მეტისმეტად მტკივნეულად ნუ მიიღებთ. მშვიდად იყავით. **მერწყული** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. მატერიალური მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც გგონიათ, თუმცა ფულს იოლად მაინც ნუ გაფლანგავთ. **თევზები** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ია ფარულავა: „გამიფრთხილდით და მომეფერეთ“



ასე მიმართავს მსახიობი ია ფარულავა საზოგადოებას და ამის მიზეზსაც საჯაროდ განმარტავს:

– ისეთ ეტაპზე დავდექი ცხოვრებაში, რომ პატარა შეცდომასაც არავის ვაპატიებ. პრინციპი ასეთია, გამიფრთხილდით და მომეფერეთ. ისე კი ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს. კატეგორიები კი ასე გამოიყურება ტრუსიკის, სკოლის, ინსტიტუტის, პაეზდკის, სამსახურის, ჯიგრიანები, შესყიდვა-მომქრთამველები, ვიგოდნიკები, ფბ-დან გადმოთესლილი, პიარისთვის შემოტენილი და ფბ-დან შეძენილი ერთგულები ა.შ. თუმცა არის მეგობრების კატეგორია, რომლებსაც ყოველთვის ვაპატიებ, თავზეც რომ დ.....ნ სახალხოდ თუ ისე.?და ესენი არიან...

ია ფარულავას ამ განცხადებას უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. მეგობრებმა ყველა კატეგორიის მეგობრის ლუსტრაცია მოითხოვეს, თუმცა მსახიობმა ამისგან თავი შეიკავა და, როგორც განმარტა, შესაფერის მომენტს ელოდება.

## ლევან წულაძე ყველაზე პრესტიჟულ პრემიაზეა წარდგენილი



მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ლევან წულაძე საბერძნეთში კულტურის დარგში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრემიაზეა წარდგენილი.

ლევან წულაძის სპექტაკლი „დანაშაული და სასჯელი“, რომელიც ანესის თეატრის პროდუქციაა და საბერძნეთის ქალაქ ათენში დაიდგა, ათინორამას პრემიების 5 კატეგორიაშია ნომინირებული.

პრემია 40 წლისაა და ყველაზე მნიშვნელოვანი პრემიაა კულტურის დარგში საბერძნეთში!

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საბერძნეთში 8 ნოემბერს გაიმართება.

## ვარძიაში სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო

ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში რესტავრატორებმა სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყეს.

რესტავრატორთა ნაწილის მტკიცებით, ფრესკების პირვანდელი სახით აღდგენა შეუძლებელია, თუმცა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სამუშაოები უმაღლეს დონეზე ჩატარდება და ფრესკები პირვანდელ სახეს დაიბრუნებს. ამის შესახებ სპეციალურ განცხადებაშია ნათქვამი:



– ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ვარძიის უნიკალური მხატვრობის სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ ბევრი მოსაზრება გამოითქვა. სააგენტო საჭიროდ მიიჩნევს გაცნობოთ, რომ უნიკალური ფრესკების აღდგენითი სამუშაოები თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლების მიერ ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## გარეული ინდაურები კალიფორნიის ქალაქს შეესივნენ



კალიფორნიის ქალაქ დეივისის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ბრძოლა გამოუცხადოს გარეულ ინდაურებს. აგრესიული ფრინველები ქალაქის ქუჩებს მოედნენ. ისინი თავს ესხმიან გამვლელებს, ხელს უშლიან ავტომობილების მოძრაობას და ექსკრემენტებით სვრიან შენობებს.

ინდაურებთან ბრძოლის გეგმა, რომელიც ქალაქ დეივისის საბჭომ მიიღო, ითვალისწინებს ფრინველების დაჭერას და ქალაქიდან გასახლებას. შესაძლოა, ყველაზე აგრესიულები დახოცონ. გარდა ამისა, ხელისუფლებას სურდა მოსახლეობისთვის ხელი შეეშალა ფრინველების გამოკვებაში. მართალია შტატის კანონი კრძალავს გარეული ცხოველებისა და ფრინველების გამოკვებას, მაგრამ ამის გაკონტროლება ძალიან რთულია. ამიტომ ხელისუფლებას, შესაძლოა, დამატებითი ღონისძიებების გატარება დასჭირდეს.

ინდაურებთან დაკავშირებით პრობლემები მაშინ დაიწყო, როდესაც დაახლოებით ათამდე ფრინველი ქალაქის სასაფლაოზე დამკვიდრდა. ისინი მიმსვლელებს დასდევდნენ, საფლავებზე დატოვებულ ყვავილებს ჭამდნენ და სწრაფად მრავლდებოდნენ. 10 წლის მანძილზე მათი რაოდენობა რვაჯერ გაიზარდა. ახლა უკვე მათ შეხვდებით არა მხოლოდ სასაფლაოზე, არამედ ქალაქის ცენტრშიც. მათ შორის კი აგრესიულობით ერთი მამალი ინდაური გამოირჩევა, რომელსაც ქალაქის მცხოვრებლებმა დაუნთაუნ ტომი შეარქვეს. ის მუდმივად ქალაქის ცენტრში იმყოფება და მოქალაქეებს ატერორებს.

## იაპონიაში საავადმყოფოში ხანძრის მიზეზი მუცლის გაზები გახდა



პაციენტის მეტეორიზმი გახდა ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტის საავადმყოფოში ხანძრის გაჩენის მიზეზი. ასეთ დასკვნამდე მივიდა საექსპერტო კომისია, რომელიც მომხდარი ფაქტის გამოძიებით იყო დაკავებული.

აღნიშნული ინციდენტი 15 აპრილს გინეკოლოგიური ოპერაციის დროს მოხდა. მოულოდნელად მოხდა აალება და ცეცხლი ქირურგიულ ფარდას მოედო. დაიწყო ხანძარი. პაციენტმა სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილის დამწვრობა მიიღო, მათ შორის ფეხების და წელის არეშიც.

აალების მიზეზის დასადგენად საქმეში ექსპერტები ჩაერთნენ. მათ დაადგინეს, რომ საოპერაციოში ცეცხლსაშიში ნივთიერებები არ იყო, ხოლო სამედიცინო აპარატურა გამართულად ფუნქციონირებდა. ასევე პრეტენზიას არ იწვევდა საავადმყოფოს პერსონალის მოქმედებაც.

კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, აალება დაზარალებულის მეტეორიზმმა გამოიწვია. როგორც ჩანს, ქალის მუცლის გაზები ჰაერს შეერია, შემდეგ კი ექიმის მიერ გამოყენებული ლაზერის ზემოქმედებით მოხდა წარმოქმნილი მასის აალება.

## ინდონეზიაში კატამ ერთი წელი პატრონის საფლავზე გაატარა



ინდონეზიის ცენტრალური იავას პროვინციაში კატამ ერთი წელი გაატარა თავისი პატრონის საფლავზე.

სასაფლაოსთან ჩავლილი კელი კენინგაუ პრაიტნო შეეცადა ცხოველი თავის სახლში წაეყვანა, მაგრამ ის ისევ სასაფლაოზე დაბრუნდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კატა ყოველ დღე მიდის თავისი გარდაცვლილი პატრონის, კანდარის, შვილებთან. ისინი მას საჭმელს აძლევენ, შემდეგ კი ის ისევ საფლავზე ბრუნდება. ასე გრძელდება უკვე ერთი წელია.

– ჩემთვის მეტად სევდის მომგვრელია ამის ყურება, თუმცა, ამავე დროს, ეს გვიჩვენებს, თუ როგორ უყვართ ცხოველებს თავიანთი პატრონები, – განაცხადა პრაიტნომ, რომლის არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, კატა საკვებით მიეზიდა, ცხოველი ყოველთვის საფლავზე ბრუნდება.

## პატრონმა პიტბულს ძიძის ფუნქცია დააკისრა



მსოფლიოში ყველაზე დიდი ამერიკული პიტბულტერიერის, სახელად ჰალკის, პატრონებმა ძაღლს მათი ახალშობილი შვილისთვის თვალყურისდევნება დააკისრეს.

მარლონ და ლიზა გრენანებმა, რომლებიც ამერიკის ნიუ-ჰემპშირის შტატიდან არიან, განაცხადეს, რომ მათ არ აშინებთ 76 კილოგრამიანი ძაღლის სამი თვის ჩვილთან დატოვება და მასში ეჭვი არ ეპარებათ.

– ამაში უჩვეულო არაფერია, – განაცხადა ბავშვის დედამ და იქვე დაამატა, რომ მათი უფროსი შვილიც ასევე ჰალკისა და სხვა პიტბულების აღზრდილია, რომლებიც მათ ოჯახში ცხოვრობენ (მათი რაოდენობა უცნობია).

გრენენმა ასევე განაცხადა, რომ ძაღლმა ბავშვი სახლში მიყვანისთანავე შეიყვარა. როგორც კი ჩვილი ტირილს იწყებს, ჰალკი საწოლთან მიდის და ლოკავს. მისი ვარაუდით, ჰალკი თვალს ადევნებდა, თუ როგორ უვლიდნენ პატრონები ბავშვს და ასე ისწავლა მისი მოვლა.

## 84 წლის მამაკაცმა მძარცველი შეაჩერა



სავაჭრო ცენტრის თანამშრომლებმა მოახერხეს დაეკავებინათ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც საიუველირო ნაწარმი მოიპარა და რომელიც გაქცევის მცდელობისას 84 წლის პენსიონერმა შეაჩერა.

მომხდარი სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ გამოსდო ფეხი და წააქცია ქურდი ხანდაზმულმა მამაკაცმა რაულ მუნიოსმა, თუმცა თავადაც დაეცა.

მუნიოსს დახმარება გამყიდველებმა აღმოუჩინეს, შემდეგ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, რომელმაც მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმებმა გასინჯვის შემდეგ მუნიოსი სახლში გაუშვეს.

პენსიონერის თქმით, ის ინსტინქტურად მოქმედებდა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ მისი თავგამოდება მის მეუღლეს არ მოეწონა, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა სავაჭრო ცენტრში. ცოლი მუნიოსს ინციდენტიდან მთელი ოთხი საათის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა. თუმცა შემდეგ დუმილი დაარღვია და დაინტერესდა, თუ სად ისწავლა მან ასეთი ილეთი.

– უბრალოდ გავაკეთე და მორჩა, – უპასუხა მეუღლეს მუნიოსმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

## სამტრედია საჩემპიონო მატჩში ჩიხურას შეხვდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რაზმაძე, წიქარიძე, ნონიკაშვილი (ჩახვაშვილი 59), ბაისადილა (კაპანაძე 59).

**საბურთალო:** გოშაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, ნადარაია, გრიგალაშვილი, მამუჩაშვილი, ელვინ ტერა (ჩაბრაძე 46), ხარაიშვილი, ვაგნერი (კოხრეიძე 50), სანტი ხარა (ბუხაიძე 76), ფანცულაია

ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი მატჩი იყო და შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, გუნდებმა ქულები გაიყვეს, თუმცა აღნიშნული შედეგი თბილისური კლუბის აქტივში უნდა ჩაითვალოს.

თავიდანვე ორივე გუნდი ფრთხილობდა, ალბათ ამიტომაც შეხვედრაში თითზე ჩამოსათვლელად იყო მომენტები. პირველ ტაიმში მასპინძელ ლევან ნონიკაშვილს შეექმნა მომენტი, რომლის დარტყმული მეკარე ოთო გოშაძემ მოიგერია. მეორე ნახევარში სანტი ხარას შორი მანძილიდან გასროლილი, მცირედით ასცდა მეტოქის კარს. ცოტა ხანში გიორგი ხარაიშვილს მიეცა ანგარიშის გახსნის საშუალება, როდესაც საჯარიმოს გარედან დაარტყა ჯარიმა – ბურთი ზემოდან გადაევლო მეტოქის კარის ჩარჩოს.

მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, თბილისელებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს: გრიგოლ ჩაბრაძის პასის შემდეგ, გიორგი ფიცხულავა გაიდგა დასარტყმელ პოზიციაში. მართალია, კუთხე მახვილი იყო, თუმცა ფორვარდმა მაინც მოახერხა კარში დარტყმა, მაგრამ მეკარე მიხეილ მუჯირიშვილმა ფეხებით მოიგერია. საბოლოოდ – 0:0.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამტრედია | 10 | 7 | 3 | 0 | 22-7 | 24 |
| 2.კოლხეთი | 11 | 6 | 0 | 5 | 10-17 | 18 |
| 3.დინამო (ბთ) | 10 | 4 | 5 | 1 | 17-4 | 17 |
| 4.საბურთალო | 10 | 3 | 4 | 3 | 13-11 | 13 |
| 5.დილა | 10 | 3 | 2 | 5 | 10-12 | 11 |
| 6.სიონი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-16 | 8 |
| 7.ზუგდიდი | 9 | 2 | 0 | 7 | 4-19 | 6 |

**მოამზადა მიხეილ ყარყულიანმა**

## პროგრამა

**ორშაბათი 7 ნოემბერი**

06.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 08.00 ან/ფ "მხიარული ფერმა" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 12.20 მხ/ფ "**ყოველ სექტემბერს**" (ჯ.ლოლობრიჯიდა) 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 15.00, 01.40 " x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ. "**ამერიკელები**" 00.00 მხ/ფ "**შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი**" 02.40 "რეალური სივრცე"

08.00 დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" 09.00 დ/ფ "ოქროს ხანა კინომუსიკაში" 10.00 მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰენკსი) 12.00 ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდდებული ჩანაფიქრი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 01.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ. "**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 დ/ფ "დემოკრატიის შუქურა" 23.00 მხ/ფ "**წითელი განთიადი**" 00.40 მხ/ფ "**გრინსთრითელი ხულიგნები 2**" 02.25 მხ/ფ "**ლოლუა მაიამიდან**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**წითელი და შავი**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნექოსემის რისხვა**" 22.00 კომედის კონცერტ 2015 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS **არხის რეორგანიზაციის გამო ტელეპროგრამას ვერ ქთავაზობთ**.

06.15 ღვთის სახლი 06.35 პატერიკი-ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 დ/ფ "ულმერთოთა ღამე" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "ხეზე კვეთა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ერთხელ ბავშვობაში 15.50 კონცერტი 16.55 სპექტაკლი "**სიმღერა კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე**" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მონოფიზიტობა 18.05 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მოკ. მხ/ფ 19.40 საქართველო ევროპულ ოჯახში 20.40 ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკი-ოთხი კიდობნის შესახებ 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.15 საქართველოს სამართლის ისტორია 22.15 ქრისტიანული სწავლება 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ქვიშანი დარჩებიან 01.00 დ/ფ "დამოუკიდებლობის აღდგენა" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუზტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**კარმელიტა**" 10.00, 13.30, 1.30 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.00, 18.50 სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 23.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.30, 1.00 სერ. "**ორი გული**" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**ბემი**" 22.40 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


7 ნოემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.4516


ევრო — 2.7198


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0594


100 რუსული რუბლი — 3.8352

## ამინდის პროგნოზი 7 ნოემბრისთვის





# 8 ნოემბრიდან

## მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

## დევიდ ლოურენსი
## ლედი ჩეთერლის საყვარელი




ამ რომანმა გამოსვლისთანავე დიდი სკანდალი გამოიწვია.

მწერლის სამშობლოში, დიდ ბრიტანეთში, 1930 წელს უკვე დაბეჭდილი წიგნების მთელი ტირაჟი გაანადგურეს.

აკრძალვა 1960 წლამდე მოქმედებდა, ვიდრე გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ ამ რომანმა მთლიანად არ აღიდგინა თავისი უფლებები.

წიგნში აღწერილია სიყვარულის კლასიკური სამკუთხედი: ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ინვალიდი ქმარი და მოუხეშავი ტყის მცველი.

დევიდ ლოურენსის ეს წიგნი მსოფლიოს საუკეთესო ნაწარმოებების რიცხვშია და მისდამი ინტერესი დღემდე არ განელებულა.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## ჩინეთში მოძრავი ქვიშიდან მოზარდი დაიხსნეს



ჩინეთის შანსის პროვინციის ქალაქ იუნჩენში, მეხანძრეებმა 17 წლის მოზარდი გადაარჩინეს, რომელიც მოძრავ ქვიშაში იძირებოდა. მოზარდის გადარჩენის სამაშველო ოპერაცია ვიდეოზე გადაიღო და ინტერნეტში განათავსა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოზარდს თავის მოკვლა სურდა და მდინარეში გადახტა, მაგრამ არ დაიხრჩო და მოძრავ ქვიშაში აღმოჩნდა, რომელსაც წყლის მცირე ფენა ფარავდა. როდესაც შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ, ის უკვე ფეხების გარდა ხელებითაც ქვიშაში იყო ჩაფლული.

ერთ-ერთმა მეხანძრემ წელზე თოკი დაიმაგრა და მოზარდის საშველად ჩავიდა, მაგრამ მისი ამოყვანა ვერ შეძლო, მაშინ მას კოლეგა მიეშველა და მათ ერთობლივი ძალისხმევით მოახერხეს მოზარდის ნაპირზე ამოყვანა, შემდეგ კი თავადაც ამოვიდნენ.

## 54 წლის მოდელმა შიშველი სელფი გამოაქვეყნა



ავსტრალიელმა მოდელმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის დედიშობილაა აღბეჭდილი.

სურათისთვის თანდართულ კომენტარში მელინდა ბრედიმ აღნიშნა ის სირთულეები, რომლების დაძლევაც მას ცხოვრებაში მოუხდა, მათ შორის ფინანსურიც.

– მახარებს ის, რომ საკუთარ თავში ჩახედვა შევძელი, რათა შემდეგ აღმოვჩენილიყავი იქ, სადაც ვარ, – დაამატა მოდელმა. ასევე მისი თქმით, მიუხედავად მოდის ინდუსტრიაში მოღვაწეობისა, არ აპირებს გასაახალგაზრდავებლად პლასტიკური ქირურგიით ისარგებლოს.

54 წლის მოდელი მელბურნში ცხოვრობს და ცნობილი მას შემდეგ გახდა, როდესაც საცურაო კოსტიუმების, ბიკინის და საცვლების სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა.

## ლინდსი ლოჰანმა სელფი საცვლებში გადაიღო



ამერიკელმა მსახიობმა ლინდსი ლოჰანმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ავტოპორტრეტი, რომელზეც საკუთარი ვარდისფერი საცვლები წარმოაჩინა.

ფოტოსურათს 30 წლის მსახიობმა ხეშტეგი დაურთო და იხუმრა, რომ ეს მისი სადღესასწაულო კოსტიუმია.

ლოჰანის სელფი 58 ათასზე მეტმა ადამიანმა მოიწონა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



მამაკაცს ფირმაში გაყიდვების აგენტის თანამდებობაზე იღებენ. დირექტორი ეუბნება:

– გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი გაყიდვების აგენტი ისეთი მოხერხებული უნდა იყოს, რომ ესკიმოსისთვის მაცივრის მიყიდვაც კი უნდა მოახერხოს.

– ეგ ჩემთვის სულ ადვილია.. ერთხელ არაბ შეიხს მივყიდე...

– არაბი შეიხისთვის რამის მიყიდვა რთული არ არის.

– როლს-როისის მიყიდვა ადვილია, მაგრამ შეიხს, რომელსაც 347 ქალისგან შემდგარი ჰარემი ჰყავდა, გასაბერი ქალი მივყიდე...

●●●

კაცმა თუთიყუში იყიდა, სახლში მიიყვანა და გადაწყვიტა შენაძენი აღენიშნა. პატარა სუფრა გაშალა, ბოთლი გახსნა და ის იყო დაისხა, რომ თუთიყუში ეუბნება:

– მეც დამისხი.

გაოცებულმა კაცმა დაუსხა. ერთი სიტყვით ბოთლი დაცალეს. კაცი თუთიყუშს უყურებს და ეუბნება:

– იცოდე, დილით არ მითხრა, რომ „პახმელიაზე" ვარო, თორემ სათითაოდ დაგაცლი ბუმბულებს!

დილით კაცმა გაიღვიძა და ხედავს, თუთიყუში წინ და უკან დადის და თავისთვის ლაპარაკობს:

– მზიანი ბინაა, ცენტრალური გათბობაცაა და რაღა ჯანდაბად მინდა ეს ბუმბულები?..

●●●

მამაკაცი ქალს კომპლიმენტს ეუბნება:

– როგორ ახალგაზრდულად და შესანიშნავად გამოიყურებით.

ქალმა შეათვალიერა და უპასუხა:

– ასეთივე კომპლიმენტით ვერ გიპასუხებთ.

– მერე თქვენც ადექით და ჩემსავით იცრუეთ!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა შენ თუ მეტყვი, რამდენი წელი იცხოვრა რობინზონ კრუზომ დაუსახლებელ კუნძულზე?

– ოცი წელი.

– არა.

– ოცდაათი.

– არა.

– აბა რამდენი?

– არც ერთი.

– ეგ როგორ?

– კუნძული დაუსახლებელი მხოლოდ იქ რობინზონის გამოჩენამდე იყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




# 3-4 ნოემბრიდან

## აკაკი ბელიაშვილი
## თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. ტომი 1




ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა" აკაკი ბელიაშვილის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია.

მასში მწერალი გამოჩენილი პოეტის ბიოგრაფიის ფონზე მხატვრულად და საინტერესოდ მოგვითხრობს იმდროინდელი საქართველოს სამეფო ოჯახის ცხოვრებას და საერთოდ, მე-18 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას.

რომანი ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.




## აკაკი ბელიაშვილი
## თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. ოქროს ჩარდახი. ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ფაჩულია ლეიკერსთან უქულოდ გაისარჯა



ოკლაჰომა სიტის განადგურების შემდეგ გოლდენ სტეიტ ვორიორზი ლოს ანჯელესში ჩავიდა და ლეიკერსთან მატჩი ჩააგდო. სტივ კერის გუნდმა, რომელმაც სეზონი სან ანტონიოსთან საშინაო მარცხით დაიწყო და შემდეგ ზედიზედ 4 შეხვედრა მოიგო, ლეიკერსთან უშანსოდ წააგო – 97:117.

ოკლენდელებმა პირველი პერიოდი 15:24 წააგეს, ხოლო მეორე 34:41 დათმეს და საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მეომრებმა საქმის გამოსწორება მესამე პერიოდიდან დაიწყეს, რომელიც 33:28 კი მოიგეს, მაგრამ ბოლო 12-წუთეულში ლეიკერსელმა ლუი უილიამსმა 20 ქულა მიითვალა და ვორიორზს იმედები გადაუწურა.

ზაზა ფაჩულიამ გოლდენ სტეიტში პირველი უქულო მატჩი ჩაატარა. ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 19 წუთში ლოსანჯელესელთა ფარისთვის არც კი შეუტევია. ფაჩულიამ შეხვედრა 3 პასითა და 3 მოხსნით დაასრულა. ლეიკერსის რუსმა ცენტრმა ტიმოფეი მოზგოვმა მხოლოდ 16 წუთი ითამაშა და 4 ქულას 5 მოხსნა მოაყოლა.

ამ შეხვედრაში შეწყდა ოკლენდელთა გამთამაშებლის სტეფ კარის რეკორდული სვლა, რომელსაც 157 მატჩში ზედიზედ სამქულიანი ჰქონდა ჩაგდებული. კარიმ 10-ჯერ ესროლა, მაგრამ ყველა სამქულიანი ააცილა.

4 მოგებითა და 2 მარცხით გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციის მეოთხე პოზიციაზეა. მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი შინ ნიუ ორლეანთან გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ხურდა ფული გერმანიაში; 5. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფე; 7. კარგი საჭმელების მცოდნე და მოყვარული; 9. შემოკლებულად დაწერილი სიტყვა ძველ ხელნაწერებში; 10. ფრანგული ვაზის ჯიში; 13. მსხვერპლად შეწირული; 14. იუპიტერის თანამგზავრი; 15. მდინარე საფრანგეთში; 19. მძარცველი, ყაჩაღი; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 21. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 22. ქართული რადიო.

**შვეულად:** 1. რაიმე საქმიანობისათვის მოწყობილი ადგილი; 2. იაპონური ავტომარკა; 3. ტრიკოტაჟის უსაყელო, მჭიდრო ფუფაიკა; 4. მაგიდა საღმრთო წიგნებისთვის ეკლესიაში; 6. აზრის გამოთქმის მგზნებარე ტონი; 8. ბავშვის მოსანათლი ჭურჭელი; 11. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 12. დარტყმა ჩოგბურთში, რომლითაც სპორტსმენს ბურთი შეჰყავს თამაშში; 16. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 17. ჩოგბურთის მოედანი; 18. განათების საზომი ერთეული.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი